საქართველოს
ილუსტრირებული ისტორია

ისტორია, რომელიც თაობებს აერთიანებს!

საქართველოს ისტორიის ეს ვიზუალური რეკონსტრუქცია მთავარ მოვლენებს, მნიშვნელოვან ფაქტებს, ოდესღაც რეალურად მომხდარ ამბავს ცალკეულ წიგნებად ყოფს და ერთ დიდ, მთავარ სერიად აერთიანებს. ეს წიგნები განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, ოჯახის ყველა წევრისთვის – უმცროსიდან უფროს თაობამდე... გაცნობიდან – გახსენებამდე...

ილუსტრირებული ისტორიის ეს ტომეული არის კონკრეტული ეპოქების მკვლევარ-ისტორიკოსების მოთხრობილი და ხელწერითა და სტილით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მხატვრების მიერ ილუსტრირებული. გამოცემისთვის, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შეიქმნა თითოეული ეპოქის საბრძოლო, საერო და საეკლესიო კოსტიუმები, რუკები და სხვ.

ყოველი აღწერილი ამბავი, ეპიზოდი, დეტალი, უნიკალური სამუზეუმო ექსპონატი, ფოტო და ფრესკა დოკუმენტურ სიზუსტეს სძენს წარმოდგენილ მასალას. სერიისთვის სპეციალურად შედგა სამუზეუმო ექსპონატთა ნუსხა, რომელიც მოგვაწოდეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან.

წიგნების ამ სერიის შესაქმნელად მეცნიერების, მხატვრების, ფილოლოგებისა თუ ტექნიკური პერსონალის დიდი გუნდი 3 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა და შრომობს დღესაც...

ისტორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არ იქსოვება, ეს რთული ორნამენტია, ერთმანეთთან უხილავი ძაფით გადაბმული.

ამიტომაც აღნიშნული სერია მოიცავს განსხვავებულ თემებს, რომლებიც ერთმანეთს ებმის და ქმნის საქართველოს მატიანეს. თითოეული ტომი ამ მატიანის განსხვავებული ფურცელია, აქედან გამომდინარე, ყოველი ტომი ერთმანეთს ავსებს და ყოველი მათგანი თავისი უნიკალურობით არის მნიშვნელოვანი...

დაინახე შენი ისტორია

ტომი 9

ჯრუჭის II ოთხთავი. XII ს.

პროექტის ხელმძღვანელი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
ლადო იოსებაძე

კონსულტანტი
ირინა არსენიშვილი
(ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი)

კორექტორები:
ნატალია ჩიმაკაძე, ცისანა ბურჯანაძე

პროექტის მენეჯერი
ნესტან მაღალაშვილი

მხატვარ-დიზაინერი
რატი თორდია

დიზაინერი
ლაშა გიორგაძე

ტექნიკური რედაქტორი
სოფიო ვაშაკიძე

დამკაბადონებელი
თამარ ქიტუაშვილი

იოანე ღვთისმეტყველი. ჯვარცმის კომპოზიციის დეტალი. 1186 წ. ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარი

© **გამომცემლობა პალიტრა L, 2015**
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-21-749-4 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-21-758-6 (ტომი 9)

ნინო ხუნდაძე

ქართული მხატვრობა



სარჩევი

5. შესავალი
6. ძალისის მოზაიკა
7. ადრექრისტიანული მხატვრობა
8. ტაძრების ინტერიერის გაფორმების სისტემა
9. ბიჭვინთის მოზაიკა
10. წრომის მოზაიკა
11. გარდამავალი ხანა
12. ფერწერული ხატებისა და მინიატიურების ადრეული ნიმუშები
13. დავითგარეჯის ფრესკები
16. X-XI საუკუნეების ქართული მხატვრობა
18. ატენის სიონი
19. გელათის მხატვრობა
20. გელათის ნარტექსის მოხატულობა
21. ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლა
22. დავითგარეჯის მხატვრული სკოლა
24. სვანეთის სკოლა
26. XI-XII საუკუნეების ფერწერული ხატები და მინიატიურები
28. XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მხატვრობა
30. ბერთუბანი
31. XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის მინიატიურები და ფერწერული ხატები
33. გვიანი შუა საუკუნეების პალეოლოგოსური მხატვრობა
34. XIV-XV საუკუნეების მინიატიურები და ფერწერული ხატები
35. XVI-XVIII საუკუნეების მხატვრობა
36. XVI-XVIII საუკუნეების მინიატიურები და ფერწერული ხატები
37. ახალი ქართული მხატვრობა
38. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მხატვრობა
39. ნიკო ფიროსმანი
40. XX საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრობა
44. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრობა
46. სიტყვის კონა

ლადო გუდიაშვილი
პირიმზისა. 1917 წ.
ტილო, ზეთი. 136X106

ელენე ახვლედიანი. პარიზი.
1926 წ. ტილო, ზეთი. 39X47

ნიკო ფიროსმანაშვილი. კახეთის
მატარებელი. მუშამბა, ზეთი. 70X140,3

დავით კაკაბაძე. ავტოპორტრეტი.
1913 წ. ტილო, ზეთი. 99X71

შესავალი

მხატვრობა სახვითი ხელოვნების უძველესი დარგია. პირველყოფილი ადამიანების გამოქვაბულის მოხატულობიდან დაწყებული, თანამედროვე მხატვრობის ნიმუშებს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, როგორ ვითარდებოდა ხელოვნების ეს დარგი. საუკუნეების განმავლობაში მხატვრობის სხვადასხვა სახეობა ჩამოყალიბდა. მხატვრებმა უამრავი სახვითი ხერხი გამოიგონეს, რათა მათ გარშემო არსებული სამყარო ისე გამოეხატათ, როგორც ხედავდნენ და შეიგრძნობდნენ. საინტერესო ისტორია აქვს ქართულ მხატვრობასაც. მართალია, საქართველოში უძველესი ხანის ფრესკები ჯერ არ აღმოჩენილა, თუმცა პირველყოფილი ადამიანის მიერ კლდეზე ნაკაწრი ნახატების (პეტროგლიფების) კვალს აქაც მიაგნეს. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საფუძველზე, ქართული ხელოვნება ძალზე საინტერესოდ ვითარდებოდა. ქართული მხატვრობის დღემდე შემორჩენილი უძველესი ნიმუშები გვიანანტიკურ ეპოქას განეკუთვნება (ახ. წ. III საუკუნე). ეს გამოსახულებები საკმაოდ დახვეწილი და ოსტატურია, რაც მოწმობს, რომ საქართველოში ამ დროისთვის პროფესიონალი მხატვრები მოღვაწეობდნენ და საკმაოდ მაღალი დონის ნიმუშებს ქმნიდნენ. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას – ქართული მხატვრობის ისტორია განვითარების, სულ მცირე, 18 საუკუნეს ითვლის და აქ შექმნილი ნიმუშები არა მარტო ქართული მხატვრობის ისტორიის შესწავლის, არამედ მთელი, განსაკუთრებით, ქრისტიანული, სამყაროს კულტურის თავისებურების განსაზღვრის მნიშვნელოვანი საშუალებაა.



ძალისის ნაქალაქარი, II–III სს.

ძალისის მოზაიკის ფრაგმენტი

ძალისის მოზაიკის ფრაგმენტი, დიონისესა და არიადნეს გამოსახულებით (III ს–ის დასაწყისი), ელინისტურ კულტურასთან სიახლოვეს ამჟღავნებს.

ძალისის მოზაიკა

მხატვრობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუში III საუკუნის პირველ მეოთხედშია შესრულებული. ეს არის მცხეთიდან 20 კილომეტრში მდებარე ძალისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოზაიკა. მოზაიკა აბანოს იატაკსა და ე.წ. დიონისეს სახლს ამკობდა. კომპოზიციებზე რომაული მითოლოგიური პერსონაჟები, ზღვის სამყარო, ცხოველები და ფრინველები, ასევე, მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამენტებია გამოსახული. „დიონისეს სახლის“ მოზაიკა მევენახეობისა და მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში, საქართველოში, დიონისეს კულტის პოპულარობის დამადასტურებელია.

მოზაიკის შესრულების დახვეწილი მანერა და მისი მსგავსება ანტიოქიის მოზაიკის ნიმუშებთან გვაფიქრებინებს, რომ მისი შემქმნელი ან აქ მცხოვრები პროფესიონალი უცხოელი ოსტატი, ან ადგილობრივი მხატვარი იყო, რომელიც ხელობას ანტიოქიის სკოლაში დაეუფლა.

ადრექრისტიანული მხატვრობა

ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვასთან ერთად, საქართველოში, IV საუკუნის პირველ ნახევარში, სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. ამ ფაქტს, საქართველოს პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. VII საუკუნის ბოლომდე საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება სუფევდა: დასავლეთით – აგრესიულ რომსა და შემდეგ მის მემკვიდრე ბიზანტიასთან, ხოლო აღმოსავლეთით – სასანიანთა ირანთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, ქართული კულტურა საინტერესოდ ვითარდებოდა. V–VII საუკუნეები ქართული კულტურის პირველი აყვავების ხანაა, რაზეც არქიტექტურის, სახვითი ხელოვნებისა და მწერლობის ძეგლები მოწმობს.

საბერეების №7 ეკლესია. ჯვარცმა. ჩრდილოეთი კედელი. კედელს მთლიანად ფარავს ჯვარცმის მრავალფიგურიანი კომპოზიცია. ქრისტე, როგორც საბერეების №5 ეკლესიის ჯვარცმაში, ტუნიკითაა გამოსახული. კაბადოკიაში შემორჩენილი მსგავსი კომპოზიციების შესაბამისად, ტუნიკა აქაც ლურჯი ფერისაა.

ჯვარცმა. სანაწილე ყუთი. VI ს. სირია

კულტურული კავშირები

ქრისტიანული ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მჭიდრო კულტურულმა კავშირებმა ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან — სირიასთან, პალესტინასა და კაბადოკიასთან. ეს კავშირები განსაკუთრებით მკვეთრად აისახა მოზაიკურ და კედლის მხატვრობის ნიმუშებში. თუმცა, საქართველოში უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მხატვრული ტრადიციები, რაც ქართული ხელოვნების მყარ საფუძველს წარმოადგენდა განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

ქართული ხელოვნების პერიოდიზაცია

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართულმა ხელოვნებამ განვითარების რამდენიმე პერიოდი განვლო:

1. IV-VII საუკუნეები – ადრექრისტიანული ხანა;
2. VIII-IX საუკუნეები – გარდამავალი ხანა;
3. X-XIII საუკუნის I ნახევარი – განვითარებული შუა საუკუნეები;
4. XIII საუკუნის II ნახევარი – XVIII საუკუნე – გვიანი შუა საუკუნეები.

იესო ქრისტე ძველი დღითაი. XIV ს. მხატვარი დამიანე. უბისის წმინდა გიორგის ეკლესია. კონქის მოხატულობის ფრაგმენტი

ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. XIV ს. კახრიე ჯამი. სამხრეთი სამლოცველო. კონქის მოხატულობა

ტაძრების ინტერიერის გაფორმების სისტემა

მონუმენტურ მხატვრობას (ფრესკა), რომელიც საქართველოში, ძირითადად, საეკლესიო არქიტექტურის შიდა სივრცეს ამკობდა, დეკორატიული ფუნქციის გარდა, შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ტაძრების კედლებზე არსებული გამოსახულებები, ერთგვარად „ხილული ბიბლიის“ მნიშვნელობას იძენდა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული, თვალსაჩინო ფორმა იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს ეკლესიების გაფორმების განსხვავებული სისტემა არსებობდა.

ატენის სიონის მოხატულობის პირველი ფენის სქემა.
თავდაპირველად ტაძრების გუმბათში რელიეფურ ჯვარს წითელი კონტურული ნახატი (ხაზი) შემოსაზღვრავდა, აფსიდების კონქსა და თაღებში კი წითელი საღებავით შექმნილი გეომეტრიული ფორმები ჭადრაკისებურად იყო განლაგებული. კედლებზე განედლებულ ჯვრებს გამოსახავდნენ. ტაძრის ინტერიერის გაფორმების ძირითად სისტემას კედლებზე ქვის წყობის დეკორატიული ხასიათი განსაზღვრავდა. VIII–IX საუკუნეებში საკურთხევლის კონქსა და გუმ–ბათს ფრესკებით ამკობდნენ, რაც ორგანულად ეწერებოდა ერთიან დეკორატიულ სისტემაში.

გელათის მთავარი ტაძრის ინტერიერი. XI საუკუნიდან ტაძრების მთელი შიდა სივრცე სრულად იფარებოდა ფრესკებით.

განედლებული ჯვარი. VIII ს. ატენის სიონი

VII საუკუნის 20-იანი წლებიდან IX საუკუნის შუახანებამდე, ქრისტიანულ სამყაროში ხატმებრძოლობის ეპოქაა, როცა ხატების თაყვანისცემა იკრძალებოდა და დაუნდობლად ანადგურებდნენ მათ. ეს მოძრაობა საქართველოში, როგორც ჩანს, ანიკონური დეკორითა (მხოლოდ ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებები, ასევე, ორნამენტი და წარწერები) და ჯვრებით ტაძრების გაფორმების სისტემაში გამოვლინდა. ამ პერიოდში შექმნილი ხატებიც სულ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი, რაც ასევე ხატმებრძოლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ჯვარი. IX ს. არმაზის წმინდა გიორგის ეკლესია. კანკელის მოხატულობის ფრაგმენტი

ბიჭვინთის მოზაიკა

ქართული ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია V-VI საუკუნეების ბიჭვინთის ბაზილიკური ტაძრის იატაკის მოზაიკა, სადაც დეკორატიულ-ორნამენტულ გამოსახულებებს შორის ჩართულია ცხოველების (შველი, ირემი) და ფრინველების (მტრედი) ფიგურები, მცენარეები და შადრევანი.
ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან, ელინისტურ ეპოქაში, მაშინ, როდესაც წარმართული რომის იმპერიის ტერიტორიაზე ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები ფარულად, კატაკომბებში იქმნებოდა, ამ გამოსახულებებს სიმბოლოების მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ. შადრევანი ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხოლო ფრინველები და ცხოველები, უმეტესად, ირემი და შველი, რომელიც ამ შადრევანს ეწაფებოდა, მორწმუნეებს განასახიერებდა. ასეთივე სიმბოლური გამოსახულებები გვხვდება ბიჭვინთის მოზაიკაშიც, რომელიც გამოცდილი და ნიჭიერი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

შადრევანი წყლისა ცხოვლისა. V–VI სს. ეკლესიის საკურთხეველი. ბიჭვინთა

აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთის მოზაიკა ელინისტური, აღმოსავლეთქრისტიანული და ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების შერწყმის საუკეთესო ნიმუშია, რაც რეალისტური, მოცულობითი ფორმების გამოსახვის მცდელობასა და მკვეთრ, მოქნილ კონტურულ ნახატში ვლინდება. კომპოზიციები პირობითი, სიბრტყობრივი ხასიათისაა, მით უფრო, რომ გამოსახულებები ხალიჩისებურადაა (სხვადასხვა მიმართულებით) განლაგებული სიბრტყეზე.

შადრევანი წყლისა ცხოვლისა. V–VI სს. ტაძრის სანათლავის იატაკის მოზაიკა. ბიჭვინთა

წრომის მოზაიკა

მოზაიკის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში VII საუკუნის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის, წრომის (მდებარეობს ქართლში), საკურთხევლის კონქს ამკობდა. მოზაიკა შემორჩენილი იყო მხოლოდ ფრაგმენტულად. ეს ფრაგმენტები 1932 წელს მოიხსნა კედლიდან და გადატანილ იქნა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ კედლის ბათქაშის ფენაზე შემორჩენილი მკვეთრი, ორ ფერში შესრულებული (შავი და წითელი სანგინა) კონტურული ნახატის მეშვეობით, კომპოზიციის სრულად აღდგენაა შესაძლებელი. აქ გამოსახული იყო ადრექრისტიანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კომპოზიცია „კანონის ბოძება“ – ცენტრში წარმოდგენილია იესო ქრისტე გახსნილი გრაგნილით ხელში და მის ორივე მხარეს – თითო მოციქული, სავარაუდოდ, პეტრე და პავლე; იესო ქრისტეს თავზე კი „გეტიმასია“ (საყდარი განმზადებული).

წრომის მაცხოვრის ტაძრის კონქის მოზაიკური კომპოზიციის სქემა

წრომის მაცხოვრის ტაძრის კონქის კედელზე შემორჩენილი გრაფიკული ნახატი. VII ს.
ამავე პერიოდში შექმნილი მსგავსი კომპოზიციები რომსა და რავენაშია შემორჩენილი, რომლებთან სიახლოვეს წრომის მოზაიკა არა მარტო იკონოგრაფიულად, არამედ ფიგურების პროპორციული, საკმაოდ რეალისტური ნახატითაც ამჟღავნებს. წრომის მოზაიკაში ხელოვნების ახალი ნიშნები იკვეთება – იესო ქრისტეს სადღესასწაულო, სტატიკური პოზა და ადრეული ხანის მსგავსი კომპოზიციებისთვის დამახასიათებელი თხრობითი ელემენტების (მაგ. მთის, მოციქულთა უკან პალმების, ზეციური იერუსალიმის გამოსახულება და ა. შ.) უარყოფა.

აკანთის ფოთლის ორნამენტული მოტივი. VII ს. წრომის ამაღლების ეკლესია. კონქის კომპოზიციას ქვემოდან საკმაოდ ფართო და საინტერესო ფორმის მცენარეული ორნამენტი აჩარჩოებს.

გრაგნილზე შემორჩენილ წარწერაზე იკითხება: „მე ვარ ნათელი, მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ის, ვისაც ჩემი სწამს თუ მოკვდება, გაცოცხლდება“. ეს არის იოანეს სახარების ამონარიდების თავისუფალი კომბინაცია.

არმაზის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის (864 წ.) კანკელის მოხატულობა – 3 წმინდა მეომრის თავის გამოსახულებით.

გარდამავალი ხანა

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში არაბები შემოიჭრნენ. VIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში არაბთა საამირო დაარსდა. საამირო აქ XII საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა, თუმცა ბოლო წლებში საკმაოდ დასუსტებული იყო. VIII-IX საუკუნეებში, მძლავრი ანტიარაბული მოძრაობის ფონზე, საქართველოში რამდენიმე ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა: აფხაზთა სამეფო – ძველი კოლხეთის მიწაზე, ტაო-კლარჯეთის სამთავრო – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კახეთი – აღმოსავლეთში. მეურნეობამ და ვაჭრობამ განვითარება დაიწყო, დაარსდა ახალი და გაიზარდა ძველი ქალაქები, აშენდა ციხეები და მონასტრები. საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნება გაძლიერდა, რაც ხელოვნების ახალი ნიშნების ძიების პროცესშიც გამოიხატა – ქართული ხელოვნება თანდათან დასცილდა ძველ ტრადიციებს, გათავისუფლდა უცხო ქვეყნების კულტურული გავლენებისგან და, შედეგად, ახალი, შემოქმედებითად თავისუფალი ხელოვნება განვითარდა. VIII-IX საუკუნეები ქართულ არქიტექტურაში, ქანდაკებასა და მხატვრობაში ახალი მხატვრული ფორმის ძიების პერიოდია.

საკურთხევლის მოხატულობის დეტალი. ნესგუნის მაცხოვრის ეკლესია. IX–X სს.
ნესგუნში (სვანეთი) ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულება მედალიონშია ჩაწერილი. შესრულების მანერა სიბრტყობრივი და ხაზოვანია, პროპორციები – დარღვეული, სახეები – არქაული, ტანსაცმლის ნაკეცები – კუთხოვანი, კოლორიტი – მოყავისფრო–წითლის, ნაცრისფრისა და ოხრას ტონებში.

წმიდა ანდრია მოციქული. თელოვანის ჯვარპატიოსანი. დეტალი. VIII–IX სს.
თელოვანის ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილ ფრაგმენტზე ქრისტე მედალიონშია გამოსახული, მის ორივე მხარეს კი წმინდანთა ფიგურებია.

გარდამავალი ხანის მხატვრობის ზოგადი მახასიათებლები

კედლის მხატვრობა ელინისტური ტრადიციებისაგან (რეალისტური, მოცულობითი გამოსახულებები) სრულიად თავისუფლდება – გამოსახულება ხდება სიბრტყობრივი. ძირითადი სახვითი საშუალება ხაზია, რომელიც აღარ გამოირჩევა პლასტიკურობითა და მოქნილობით, არამედ უხეში და კუთხოვანია. ირღვევა ფიგურათა პროპორციები, მხატვრები ზრდიან ცალკეული დეტალების ზომებს, რითაც მძაფრი შინაგანი ემოციის (ექსპრესია) გამოხატვას ცდილობენ და ყურადღებას, ძირითადად, ადამიანის სულიერ სამყაროზე ამახვილებენ. გამოსახულებათა ფორმები ხდება მარტივი, პრიმიტიული, რისი საფუძველიც, ხშირ შემთხვევაში, ხალხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია. მსგავსი გამოსახულებები გვხვდება, როგორც კედლის მხატვრობის, ასევე ხატწერის ნიმუშებზეც.



ფერწერული ხატებისა და მინიატიურების ადრეული ნიმუშები

ფერწერული ხატები მხატვრობის ერთ-ერთი საინტერესო დარგია, რომელმაც საქართველოში მნიშვნელოვანი განვითარება პოვა და, მინიატიურასა და კედლის მხატვრობასთან ერთად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საუკუნეების განმავლობაში ქართული მხატვრობის განვითარების თავისებურებაზე. ქრისტიანულმა რელიგიამ ქრისტიანული მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა და, შესაბამისად, ხატწერის თავისებურებაც განსაზღვრა. სულიერი სამყაროს წვდომის, მასთან მიახლოების მიზნით, გამოსახულებებში თანდათან დაიკარგა რეალობის ილუზია, მოცულობისა და სივრცის შთაბეჭდილება სიბრტყობრივი, პირობითი გამოსახულებებითა და ერთი ფერის ფონით შეიცვალა.

ანჩისხატი. VI ს. ენკაუსტიკა

ჯრუჭის I ოთხთავის (936-940 წელი) მხატვრული გაფორმება ადიშის სახარების შემდგომი ხანის მხატვრულ ძიებებს ასახავს. ყოველ სახარებას წინ უძღვის წყვილ-წყვილი მინიატიურა. მარცხენა გვერდზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მახარებელი, მარჯვენაზე კი ქრისტეს მიერ ავადმყოფთა – ეშმაკეულის, ბრმისა და განრღვეულის – განკურნების სცენებია მოცემული. პირველი სახარების ავტორის – მათეს – პორტრეტის გვერდით წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმით. ფიგურების პოზები მეტად მეტყველია და ცოცხალი. იესო ქრისტე აქ გამოსახულია ახალგაზრდა, წვერ-ულვაშის გარეშე. ეს მხატვრული თავისებურებები ადრექრისტიანული მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ელინისტური ხელოვნების ზოგიერთი ნიშანი.

ფერწერული ხატების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში წილკნის ღვთისმშობლის ხატია, რომელიც IX საუკუნეში, ენკაუსტიკის ტექნიკაშია შესრულებული. ხატზე ღვთისმშობელია წარმოდგენილი მთავარანგელოზების გამოსახულებით ორივე მხარეს. ოსტატი მკვეთრი კონტურული ნახატით ქმნის ფიგურათა ფორმებს, განსაკუთრებულ ყურადღებას გადიდებული, ნუშისებური ფორმის თვალები და ღაწვებსა და შუბლზე, ასევე კისერზე დადებული ვარდისფერი ლაქები იპყრობს.

IX საუკუნიდან მინიატიურულ მხატვრობაში შემოგვრჩა ადიშის სახარების მეტად საინტერესო მინიატიურები. მუქცისფერ ფონზე ლუკა და იოანე მახარებლები არიან წარმოდგენილნი, დახურული წიგნებით ხელში. ფიგურები ცოცხალი და მეტყველია, რეალისტურად გამოსახული, შესრულების მანერა – ფაქიზი. ეს მინიატიურები, რეალისტური გამოსახულებებით, სიახლოვეს ამჟღავნებს ელინისტურ ხელოვნებასთან.

დავითგარეჯის ფრესკები

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში, IX საუკუნეში შესრულებული დოდოს რქის გამოქვაბულის ტაძრის მოხატულობა, უპირველეს ყოვლისა, შთამბეჭდავია თავისი ფერადოვნებით – მოლურჯო-მოცისფრო ფონი, მოყავისფრო-წითელი, თეთრი და ცისფერი.

ქრისტეს დიდება. IX ს. დავითგარეჯი. დოდოს რქა. კონქის მოხატულობა. კომპოზიციის ცენტრში შარავანდედით შემოსაზღვრული ტახტზე მჯდომი ქრისტეს დიდი ზომის ფიგურაა, მაკურთხებელი მარჯვენითა და გადაშლილი წიგნით მეორე ხელში. მაცხოვრის ორივე მხარეს, შედალიონებში, მთვარისა და მზის ალეგორიული გამოსახულებებია მოცემული. მაცხოვრის ქვემოთ მთავარანგელოზების ფიგურებია, ქრისტესა და მთავარანგელოზებს შორის კი ექვსფრთიანი ტეტრამორფები (ოთხი მახარებლის სიმბოლო) გამოხატა მხატვარმა. ქრისტეს სახე ოდნავ დაგრძელებულია, ნაკვთები დახვეწილი. ამ მოხატულობას პარალელები კაბადოკიის კედლის მხატვრობის ნიმუშებში მოეპოვება.

საბერეები

IX–X საუკუნეებს მიეკუთვნება საბერეების ფრესკები დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში. საბერეების მონასტერი მთაში გამოკვეთილი 9 მცირე ზომის გუმბათიანი და უგუმბათო ეკლესიისგან შედგებოდა. მათგან ოთხი ეკლესია ნაწილობრივ შემკულია ფრესკებით, რომლებიც მხატვრობის სტილით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება.

საკურთხევლის მოხატულობის დეტალი. დაზიანებულ გამოსახულებათა შორის №5 ეკლესიის (IX ს.) საკურთხევლის კონქში „ქრისტეს დიდების“ კომპოზიცია იკითხება. შემორჩენილია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი მაკურთხებელი მარჯვენით, მთავარანგელოზები უზარმაზარი გაშლილი ფრთებით, და თვლებით შემკული ქერუბიმისა და სერაფიმის გამოსახულებები. მთლიანობაში კომპოზიციას სადღესასწაულო განწყობა და მონუმენტურობა ახასიათებს.

№5 ეკლესიის (IX ს.) სამხრეთ კედელზე ჯვარცმაა გამოსახული, სადაც მაცხოვარი ტუნიკითაა შემოსილი, რაც ადრეული ქრისტიანული ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი. ჯვარცმა გრაფიკულ მანერაშია შესრულებული (კონტურულ ნახატს, ანუ გამოსახულებების ფორმების აღმნიშვნელ ხაზს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება) – ფერები ლოკალური, კონტურული ნახატი კი საკმაოდ დახვეწილია, განსაკუთრებით დახრილი თავისა და ხელების გამოსახულებებში. შესრულების მსგავსი მანერა უშუალოდ ქართული მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი. №5 ეკლესიის მოხატულობა ნათელი და მკვეთრი ფერებით გამოირჩევა, კოლორიტში ღია წითელი და ყვითელი ჭარბობს, კონტურული ნახატი კი ძირითადად შავია.

საბერეების მოხატულობაში მზისა და მთვარის ალეგორიულ გამოსახულებებს რამდენიმე ადგილას ვხვდებით.

ქრისტეს დიდება. საკურთხევლის კონქის მოხატულობა. ამ ეკლესიის მოხატულობას რთული კომპოზიციური გადაწყვეტა, გრაფიკული ნახატის საშუალებით ოსტატურად დამუშავებულ ფიგურათა სახეები და ტანსაცმლის რთული ნაკეცები, პროფესიულად შესრულებული ორნამენტები გამოარჩევს. ამავე დროს, ნათლად იკვეთება ხელების უხეში ფორმები და ფიგურების კუთხოვანი, არაპლასტიკური მოძრაობები.

საბერეების №8 ეკლესია

საბერეების №8 ეკლესიის (X ს.) მხატვრობას გრაფიკული ხასიათი გამოარჩევს. ტანსაცმლის ნაკეცები პარალელური ხაზების საშუალებითაა აღნიშნული. გამოსახულებებისათვის დამახასიათებელი უტრირებული ფორმები და დეკორატიულობა მათ უშუალობას სძენს. ამ მოხატულობებში ნათლად ჩანს ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი თავისუფლება, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება და სახვითი ენის ორიგინალურობა. კოლორიტი აქაც მოლურჯო-მოცისფრო, მოყავისფრო-წითელ, თეთრ და ცისფერ ფერებშია გადაწყვეტილი.

ანგელოზის გამოსახულება. ფრაგმენტი. საბერეები. №8 ეკლესია. ასლი. ტატიანა შევიაკოვა

ხარება. დეტალი. საბერეები. №8 ეკლესია. საბერეების №8 ეკლესიაში შემოგვრჩა საინტერესო მხატვრობა, რომელიც ქართული მინანქრის ნიმუშებითაა შთაგონებული. ანგელოზის ფიგურა დამუშავებულია გეომეტრიული ფორმის ფირუზისფერი ლაქებით, რომელიც გამოყოფილია მოყავისფრო-მოწითალო ფერის ლაქებისგან მკვეთრი კონტურული ნახატით. ადრეული ხანის მხატვრობისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა ანგელოზის სახის დამუშავების მანერა – წარბების მოხაზულობა უშუალოდ გადადის ცხვირის მოხაზულობაში, რაც ხალხური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია.

საბერეების №7 ეკლესია

საბერეების №7 ეკლესიაში (X ს.) სრულიად განსხვავებული ხასიათის მხატვრობა შემოგვრჩა. საკურთხეველში „ქრისტეს დიდების“ კომპოზიციაა, სადაც ტახტზე მჯდომი ქრისტე ოვალური ფორმის მანდორლაშია (შარავანდედი) გამოსახული, მის ორივე მხარეს კი, ერთმანეთის ქვეშ, წარმოდგენილია ორ-ორი ანგელოზის ფიგურა. ზედა ანგელოზების უკან ექვსფრთიანი ქერუბიმების ფრთებია, ხოლო თავებს ანგელოზების ნიმბები (შარავანდი) ფარავს. ნახატი გრაფიკული ხასიათისაა. განსაკუთრებით საინტერესოა გრაფიკული ნახატის საშუალებით დეტალურად დამუშავებული ანგელოზების, გამორჩეულად კი, მაცხოვრის სამოსის გამოსახულება.

საბერეების სამონასტრო კომპლექსი. საერთო ხედი

X–XI საუკუნეების ქართული მხატვრობა

X-XI საუკუნეები საქართველოში კულტურისა და ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის ხანა. ეროვნული კულტურის წინსვლაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლამ, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში წარმატებით დასრულდა.

ხარება. მთავარანგელოზი გაბრიელი. დეტალი. XI ს. ატენის სიონი

ახალი მხატვრული ტენდენციები

უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის ბოლო და XI საუკუნის დასაწყისი საქართველოში შემოქმედებითი აღმავლობის ეპოქაა, რამაც XI-XIII საუკუნის პირველ ნახევარში უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ლიტერატურაში, არქიტექტურაში, ქანდაკებაში უმნიშვნელოვანესი საეტაპო ძეგლები შეიქმნა, განვითარდა ქართული მხატვრობაც. შეიქმნა კედლის მხატვრობის, მინიატიურებისა და ხატების საინტერესო ნიმუშები. ამ ეპოქაში, სირიასა და პალესტინასთან ერთად, საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობები ჰქონდა ბიზანტიასთანაც. თუმცა, ქართველი ოსტატები მკაცრად იცავენ ტაძრის გაფორმების ადგილობრივ ტრადიციებს – გუმბათში ჯვარს გამოსახავენ, საკურთხეველში – „ქრისტეს დიდებას“; მხოლოდ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრებში გამოსახავენ ღვთისმშობელს ყრმით. ჩნდება საუფლო „ათორმეტი დღესასწაულის“ სცენები, შეიმუშავეს ადგილობრივი წმინდანების ცხოვრების ამსახველი ორიგინალური მხატვრული ციკლი. საინტერესოა, რომ ქართველი მხატვრები, ტაძრების მოხატულობის გააზრებისას, უპირატესობას ანიჭებენ დიდი ზომის გამოსახულებებს, რაც განაპირობებდა სახარებისეული სიუჟეტების რაოდენობის შემცირებას.



იოსების სიზმარი. XI ს. ატენის სიონი

მხატვრული სკოლები საქართველოში

X-XI საუკუნეებში, მხატვრული თავისებურებების თვალსაზრისით, საქართველოში რამდენიმე განსხვავებული სტილის მხატვრული სკოლა ჩამოყალიბდა. სავსებით გასაგებია, რომ ქვეყანაში, რომელიც პოლიტიკურად გაერთიანებული არ იყო, ერთიანი მხატვრული სტილი ვერ შეიქმნებოდა. ამ სკოლების წარმომადგენელთა მიერ შექმნილი მოხატულობები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება, მით უფრო, რომ თითოეულ მხატვრულ სკოლას განსხვავებული ტრადიციები ჰქონდა.

დედაქალაქის სკოლა

ამ ეპოქაში შექმნილ სკოლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია დედაქალაქის მხატვრული სკოლა. მხატვრობა, რომელიც ამ სკოლას განეკუთვნება, ფერწერული მანერის მრავალფეროვნებით, მდიდარი კოლორიტით (ლურჯის ნაირგვარი ტონები, წითელი, ლილისფერი), მონუმენტურობით, ანატომიის ცოდნის საფუძველზე აგებული პროპორციული ფიგურებით, დახვეწილი სახის ნაკვთებითა და პორტრეტული, ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდილი გამოსახულებებით ხასიათდება. ამ ტიპის ძეგლებს შორის ატენის სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მოხატულობა (XI საუკუნე), გელათის ტაძრის მოზაიკა და გელათის ნარტექსის (XII საუკუნე) მოხატულობა შეიძლება გამოვარჩიოთ. კომპოზიციები თანდათან თავისუფალი და დინამიკური ხდება, ნახატი – დახვეწილი და პროპორციული; ფორმები ანატომიის ცოდნის საფუძველზეა აგებული, მოძრაობა – ბუნებრივი.

ატენის სიონი

ატენის სიონის მხატვრობა XI საუკუნეში შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საეტაპო ძეგლია, რომელიც უპირველესად საინტერესოა იმით, რომ აქ მხატვარმა ტაძრის ინტერიერი, წინასწარ შემუშავებული იკონოგრაფიული სქემის მიხედვით, უკვე სრულად დაფარა ფრესკებით. ატენის სიონის მოხატულობა საინტერესოა ასევე ფრესკების შესრულების მხატვრული ოსტატობითა და მოხატულობის განაწილების თავისებურებით. მხატვარმა VII საუკუნეში აგებული ტაძრის ინტერიერს XI საუკუნეში ორგანულად მოარგო ფრესკული მხატვრობა. ტაძრის ოთხივე მკლავის (ტაძარს გეგმაში ჯვრის ფორმა აქვს და, ჯვრის ნაწილების შესაბამისად, ოთხი მკლავი – აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) მოხატულობა დამოუკიდებლად აღიქმება. ჩრდილოეთით იესო ქრისტეს, სამხრეთით კი ღვთისმშობლის ცხოვრების სცენებია წარმოდგენილი. დასავლეთით, ზედა ნაწილში, განკითხვის დღე, მის ქვემოთ კი წინასწარმეტყველთა და ისტორიულ პირთა პორტრეტებია. აღმოსავლეთით, საკურთხევლის კონქში, ნიკოპეის ტიპის ღვთისმშობელია ყრმითა და მთავარანგელოზებით ორივე მხარეს; მათ ქვემოთ მოციქულთა გამოსახულებების მწკრივია, ხოლო სულ ქვედა მწკრივში წმინდა მამები გამოსახა მხატვარმა.

ატენის სიონის დასავლეთი მკლავი. ფრაგმენტი.
ცალკეული მწკრივი (რეგისტრი) ერთმანეთისგან ფართო, ჰორიზონტალურად გაშლილი ორნამენტული ნახატითაა გამოყოფილი. სცენების ამგვარი განლაგება მოხატულობას მკაფიო და ნათელ ხასიათს ანიჭებს. რაც შეეხება ერთ მწკრივში განლაგებულ ცალკეულ სცენებს, ისინი ერთმანეთისგან არქიტექტურული ნაგებობის ან რომელიმე პერსონაჟის ფერწერული გამოსახულების საშუალებითაა გამიჯნული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სცენები გაშლილ გრაგნილზეა გამოსახული, მით უფრო, რომ კომპოზიციები კედლის თეთრ ფონზეა შესრულებული.

ეპოქის მხატვრული ნიშნები

ატენის სიონის მხატვრობისათვის, ისევე, როგორც ზოგადად ამ პერიოდის მხატვრობის ნიმუშებისთვის, დამახასიათებელია:

1. მოხატულობის მონუმენტალიზმი და სადღესასწაულო ხასიათი;
2. ფიგურების მნიშვნელობის ხაზგასმა;
3. არქიტექტურული და პეიზაჟის ელემენტების მარტივი, ლაკონიური ფორმები;
4. ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილი პროპორციული, პლასტიკური ფიგურები;
5. ენერგიული, პლასტიკური ნახატი;
6. სახის მოოქროსფრო ტონზე მკაფიოდ იკითხება გამოთეთრების (ჩრდილის აღმნიშვნელი თეთრი ლაქა) ლაქები, რომელიც განლაგებულია თვალის კუთხეებში, ცხვირის გასწვრივ, სიგრძეზე და ნესტოების გვერდით, რაც გამოსახულებისათვის მოცულობის მინიჭების მხატვრული ხერხია;
7. სახეების რეალისტური, მეტყველი, ინდივიდუალიზმით აღსავსე პორტრეტული გამოსახულებები.

იაკობის გამოსახულება. მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა.
ატენის სიონის მოხატულობაში განსაკუთრებით მეტყველი და შთამბეჭდავია სცენები: „იოსების სიზმარი“, „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“, მთავარანგელოზ გაბრიელის ფიგურა კომპოზიციიდან „ხარება“; აგრეთვე, ცალკეულ წმინდანთა და ისტორიულ პირთა პორტრეტები.



გელათის მხატვრობა

XII საუკუნეში საქართველო ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო იყო. დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს გაერთიანებამ ხელი შეუწყო კულტურისა და ხელოვნების განვითარებას. სწორედ ამ დროს ქუთაისის ახლოს შეიქმნა გელათის სამონასტრო ანსამბლი, სადაც, გარდა მონასტრისა, საგანმანათლებლო ცენტრი – სასულიერო აკადემია – არსებობდა.

მიქაელ მთავარანგელოზი. ფრაგმენტი. XII ს. საკურთხევლის აფსიდის მოზაიკა

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. ტაძრის საკურთხევლის კონქს მოზაიკა (1125–1130 წწ.) ამკობს, რომელიც ამ დარგის კლასიკური ნიმუშია. სადღესასწაულო ხასიათის კომპოზიცია ღვთისმშობელს წარმოგვიდგენს, რომელსაც მკერდთან ყრმა იესო უჭირავს. ღვთისმშობლის ორივე მხარეს მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის – გამოსახულებაა. მოზაიკის ავტორი კარგად განსწავლული და საკუთარი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალია. ოქროსფერ ფონზე ოსტატი დიდი ზომის, მდიდრულად შემოსილ ფიგურებს წარმოგვიდგენს, რაც დახვეწილ, სიმსუბუქით გამორჩეულ გამოსახულებას დიდებულებას და სადღესასწაულო ხასიათს სძენს. როგორც ჩანს, ამ მოზაიკის შემქმნელი მხატვარი კარგად იცნობდა ბიზანტიურ მხატვრობას და ასეთივე ტიპის ბიზანტიურ გამოსახულებებს იყენებდა ნიმუშად, რაც, უმთავრესად, ერთმანეთთან ოსტატურად შერწყმული ფერადი ჩრდილების გამოყენებაში გამოიხატება. თუმცა, ისევე, როგორც ზოგადად ქართული მხატვრობისთვის, მთავარი სახვითი საშუალება აქაც ხაზია – მკვეთრი კონტურული ნახატი. ღვთისმშობლის ამგვარ გამოსახულებას „ნიკოპეა“, ანუ „გამარჯვების მბოძებელი“ ეწოდება. საქართველოში ღვთისმშობლის მსგავსი გამოსახულება ატენის სიონისა და იფრარის კედლის მხატვრობაში გვხვდება (ორივე XI საუკუნეშია შესრულებული).

ღვთისმშობელი ყრმით. ფრაგმენტი. XII ს. საკურთხევლის აფსიდის მოზაიკა

ეფესოს III საეკლესიო კრება. XII ს. გელათის მონასტერი. ღვთისმშობლის შობის ტაძარი. ნარტექსის მოხატულობა.
ნარტექსის მოხატულობა მონუმენტური დახვეწილი ფიგურებითა და მეტყველი სახეებით ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებს ატენის სიონის მხატვრობასთან. თუმცა, ატენის სიონის მხატვრობასთან შედარებით, ნახატი გაცილებით მოქნილი გახდა. ადამიანთა ყოველი ცალკეული ჯგუფი შეკრულია და მკაფიოდ გამოიყოფა სხვა ჯგუფებისაგან. მოხატულობა შესრულებულია ღია ცივ ტონებში. აქ დომინირებს ცისფერი, ღია მწვანე, მოყავისფრო-წითელი.

ჯვრის ამაღლება. დეტალი. XI ს. მანგლისის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი

წმინდა მამების რიგი. XI საუკუნის დასაწყისი. ხახული. საკურთხევლის აფსიდი

გელათის ნარტექსის მოხატულობა

XII საუკუნეს მიეკუთვნება გელათის მთავარი ტაძრის, ნარტექსის, მოხატულობაც. ეს ფრესკები ერთდროულად საინტერესოა ამ დროისთვის და დედაქალაქის სკოლისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებებით, ასევე, ისტორიული სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით: აქ წარმოდგენილია 7 მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის განხეთქილების თაობაზე გაიმართა სხვადასხვა დროს. ამ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოც. ორი ასეთი კრება 1103 და 1124-1125 წლებში გელათის აკადემიაში შედგა დავით აღმაშენებლის უშუალო მეთაურობით.

ჯვრის ამაღლება. XI საუკუნის დასაწყისი. იშხანი. გუმბათის სფერო

ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლა

ტაო-კლარჯეთის სკოლა (X–XI საუკუნეები) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოში განვითარებულ მხატვრულ სკოლებს შორის. ოთხთა ეკლესიის (X ს.), ოშკის (1036), იშხნის, ხახულის, ტბეთის (სამივე XI საუკუნის დასაწყისი) მოხატულობები მონუმენტურობითა და სადღესასწაულო ხასიათით გამოირჩევა. თვალში საცემია ფიგურების ოდნავ წაგრძელებული პროპორციები, დახვეწილი ფორმები. ამავე სკოლის მხატვრობას მიეკუთვნება კუმურდოს ეკლესიისა (X ს.) და მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის (XI საუკუნის 20-იანი წლები) მოხატულობა.

ფრაგმენტი ჯვარცმის სცენიდან. 1036 წ. ოშკი. სამხრეთი მკლავი

იერუსალიმში შესვლა. XI საუკუნის დასაწყისი. ხახული. სამხრეთი მკლავის დაღუპული ფრესკის ფრაგმენტი

უდაბნოს მთავარ ტაძარში შესვლისას ადამიანი, პირველ რიგში, მოპირდაპირე, ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ კომპოზიციებს ხედავს. აქ, კედლის ქვედა ნაწილზე, ერთ მწკრივში ისტორიულ პირთა (სავარაუდოდ, კახელ დიდებულთა) ფიგურებია წარმოდგენილი ვედრების პოზაში, რომლებიც მათ წინ მდგომი წმინდანისკენ (სავარაუდოდ, წმინდა დავით გარეჯელისკენ) არიან მიმართულნი.

დავითგარეჯის მხატვრული სკოლა

უკვე არსებული ტრადიციების საფუძველზე დავითგარეჯში (XI–XIII საუკუნეები) მნიშვნელოვანი მხატვრული სკოლა ჩამოყალიბდა. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მოხატულობათა შორის, დოდოს რქისა და საბერეების მონასტრის მხატვრობასთან ერთად, აღსანიშნავია უდაბნოს მთავარი ტაძრისა და სატრაპეზოს XI საუკუნის ფრესკები და ბერთუბნის XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი მხატვრობა. ტაო-კლარჯეთის ძეგლებისაგან განსხვავებით, დავითგარეჯში კომპოზიციები შედარებით მარტივია, კოლორიტი კი – ნათელი და ხალისიანი, რაც რელიგიური ასკეტიზმის სიმძაფრეს ამსუბუქებს. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, დავითგარეჯის სკოლის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი მხატვრობა ადამიანური თანაგრძნობითა და სიყვარულითაა გაჯერებული. ამ სკოლას მიეკუთვნება ბოჭორმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობაც.

მეტად საინტერესოა უდაბნოს სატრაპეზოს მოხატულობაც. სატრაპეზო იყო ადგილი მონასტერში, სადაც ბერები თავს იყრიდნენ ტრაპეზისთვის (სასადილოდ და სავახშმოდ). აღსანიშნავია, რომ სცენები, რომლებიც ამკობდა ამ სადგომს, შერჩეულია მისი დანიშნულების შესაბამისად. აქ გამოსახულია „საიდუმლო სერობა“, „აბრაამის მასპინძლობა“. გარდა ამ სცენებისა, თაღების სვეტებზე დავით გარეჯელის, ექვთიმე მთაწმინდელისა და მესვეტეების გამოსახულებებია. თაღების შიდა ზედა ნაწილები შთამბეჭდავი, რთული მცენარეული ორნამენტებითაა შემკული.

ჩრდილოეთ კედლის ზედა ნაწილზე დავით გარეჯელის ცხოვრების სცენებია ასახული: გველეშაპის დამორჩილება წმინდა დავითის მიერ, წმინდა დავით გარეჯელი და მისი მოწაფე – ლუკიანე – შვლებთან ერთად და სხვა. ამ მოხატულობის კონცეფცია უშუალოდ ქართველი მხატვრის მიერ იყო შემუშავებული და ქართველი ოსტატის შემოქმედებით თავისუფლებასა და ორიგინალურობაზე მეტყველებს.

დეისუსი. 1111 წ. მეფის მხატვარი თევდორე. ლაგურკას წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია

სვანეთის სკოლა

საინტერესო მხატვრობით შემკული სვანეთისა და რაჭის XI–XII საუკუნეების ეკლესიები მხატვრული თავისებურებებით ერთმანეთთან სიახლოვეს ამჟღავნებს. საქართველოს ამ მთიან მხარეში გვხვდება, როგორც ხალხური ხასიათის ნამუშევრები, ასევე არაჩვეულებრივი ოსტატობით შექმნილი ფრესკები. საკურთხევლის კონქში ძირითადად „დეისუსი“ (ვედრება) გამოისახება. მნიშვნელობა ენიჭება წმინდა მეომრების – წმინდა გიორგისა და წმინდა თევდორეს მხატვრულ სახეებს. ამ დროის მხატვრობა მკვეთრად მონუმენტურია, რაც ფიგურების მნიშვნელობის ხაზგასმით, ასევე, მთლიანად მოხატულობის ნათელი, ტექტონიკური ხასიათით მიიღწევა. სახარების სცენებიდან შერჩეულია მხოლოდ რამდენიმე, რაც განპირობებულია ეკლესიის მცირე ზომითა და მონუმენტური სტილის მოთხოვნებით, ასევე, წმინდანის თემით, რომლის სახელობისაც არის ეკლესია.

მეფის მხატვარი თევდორე

ამ პერიოდის სვანური მხატვრობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული იფრარის (1096), ლაგურკასა (1112) და ნაკიფარის (1130) დარბაზული ტიპის ეკლესიების მოხატულობა.

სტილური თავისებურებანი

ქართული მხატვრობისთვის დამახასიათებელი ხაზობრიობა და თავშეკავებული კოლორიტი სვანეთისა და რაჭის ძეგლების თავისებურებაცაა. ატენის სიონის მოხატულობისა და უფრო გვიანი ძეგლების ფრესკების „ფერადოვნებისგან“ (ყინწვისი, გელათი და ა.შ.) განსხვავებით, სადაც ლურჯი და ცისფერი დომინირებს, სვანეთსა და რაჭაში კოლორიტი განსაკუთრებულად ძუნწია. აქ ფერების გამოყენება მკაცრადაა განსაზღვრული – ნაცრისფერი, მოწითალო-ყავისფერი და ყვითელი ოხრა. აღსანიშნავია ფრესკებზე გამოსახულ წმინდანთა მკაცრი სახეები, რაც დამახასიათებელია სვანეთის სკოლისთვის. ნახატი უხეშია, თუმცა პლასტიკური, გამომსახველი და საოცრად ემოციური. შედარებით ადრეული ნიმუშები მკვეთრად გაწონასწორებული კომპოზიციებით გამოირჩევა, შედარებით გვიანი ნიმუშები კი მეტი დეკორატიულობითა და დინამიზმით ხასიათდება.

შობა. 1096 წ. მეფის მხატვარი თევდორე. იფრარი

იფრარი

იფრარში, რომელიც მთავარანგელოზის სახელზეა აგებული, მეფის მხატვარი თევდორე მკაცრად განსაზღვრული სქემის მიხედვით განათავსებს ფრესკებს კედლებზე და სრულად მიუსადაგებს არქიტექტურული ნაგებობის სტრუქტურას.

ღვთისმშობელი ყრმით და წმინდა ანა. 1096 წ. მეფის მხატვარი თევდორე. იფრარი

წმინდა მხედარი თევდორე. 1111 წ. მეფის მხატვარი თევდორე. ლაგურკას წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.
ლაგურკას ეკლესიის მოხატულობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახეების ემოციური გამომსახველობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იესო ქრისტესა და იოანე ნათლისმცემლის სახეთა გამომეტყველება „დეისუსში“. შთამბეჭდავია თევდორესა და სხვა ფიგურათა ექსპრესიული სახეებიც.

ლაგურკა

შედარებით გვიან, 1112 წელს, მოხატა მეფის მხატვარმა თევდორემ ლაგურკას დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელზეა აგებული. აქაც, იფრარის მსგავსად, მოხატულობას მკვეთრად ტექტონიკური ხასიათი გაჰნია.

ვედრება. 1130 წ. ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია

ნაკიფარი

მეფის მხატვარ თევდორეს მიერ მოხატული მესამე ტაძარი – ნაკიფარი – წმინდა გიორგის სახელობისაა. შესაბამისად, ამ ეკლესიის გაფორმების იკონოგრაფიულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წმინდა გიორგის წამების სცენებს. დასავლეთ კედელზე წმინდა გიორგის მიერ კერპების შემუსვრის ტრიუმფალური კომპოზიციაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქრისტეს სახის მრისხანე გამომეტყველება და მისი ძლიერი, განზე გაწეული მაკურთხებელი მარჯვენა კონქში გამოსახულ „დეისუსის“ კომპოზიციაში.

მიქაელ მაღლაკელი

მიქაელ მაღლაკელის მიერ შექმნილი მაცხვარიშის (1140) ეკლესიის მხატვრობა, მხატვარ თევდორეს ფრესკებთან შედარებით, უფრო ხისტია, პირობითი და არქაული, თუმცა, მეტად დინამიური და დეკორატიულია.

იერუსალიმში შესვლა. 1140 წ. მხატვარი მიქაელ მაღლაკელი. მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა

ზემო კრიხის მხატვრობა

კედლებზე ფრესკების განლაგების სქემით, ფიგურების ტიპებითა და სახეებით, კოლორიტითა და ნახატის ხასიათით, ორნამენტულ-დეკორატიული მოტივებისადმი სიყვარულით სვანეთის მხატვრობას, რაჭაში, ზემო კრიხის ტაძრის მოხატულობა ენათესავება.

წმინდა მთავარანგელოზი გაბრიელი. XI ს. ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა

XI–XII საუკუნეების ფერწერული ხატები და მინიატიურები

ვანვითარებული შუა საუკუნეების მხატვრობის თავისებურების გააზრება შეუძლებელია ამ ეპოქაში შექმნილი მხატვრობის სხვადასხვა დარგის ნიმუშების განხილვის გარეშე. სრულიად განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად, სტილისტურად მრავალი მსგავსების აღმოჩენაა შესაძლებელი ერთი და იმავე პერიოდის მონუმენტურ, მინიატიურულ მხატვრობასა და ხატწერის ნიმუშებს შორის.

ამ ეპოქაში შექმნილი ხატებიდან მეტად საინტერესო ნიმუშია მთავარანგელოზ მიქაელის ხატი ლაგურკადან. მონუმენტურობა, სახის კეთილშობილება, ფიგურისა და ხელების დახვეწილი ფორმები, პროპორციები, წერის მრავალფენიანი, თუმცა, ფაქიზი მანერა და პლასტიკური ნახატი მოწმობს, რომ ხატი მაღალი დონის ოსტატის მიერაა შესრულებული. მხატვრული ნიშნების თვალსაზრისით ლაგურკას ხატი ამავე პერიოდში შექმნილი ბერძნული ხატწერის საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება, თუმცა, შესრულების ხაზობრივი მანერით, რასაც ქართული სახვითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ხაზისადმი განსაკუთრებული ინტერესი განსაზღვრავს, განსხვავდება მათგან. ეს ხატი, ღია ფერის კოლორიტით, ნახატის დახვეწილი ხასიათითა და კლასიკური პროპორციებით, სიახლოვეს აშჟღავნებს დედაქალაქის სკოლის მხატვრობის ნიმუშებთან – ატენის სიონისა და გელათის ნარტექსის მოხატულობასთან, ასევე – ზატიკის მინიატიურებთან.

ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მეტყველად დახრილი თავების საშუალებით გადმოცემული გულწრფელი ემოცია, მოგვიანებით, იქვე, სვანეთში, თანღილის ტაძრის XIII საუკუნის მოხატულობაში აისახება.



სტილისტური თვალსაზრისით, მთავარანგელოზ მიქაელის ხატს უახლოვდება ჯვარცმის ხატი, რომელიც სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული. ხატი ემოციური, ლირიკული განწყობილებით ხასიათდება, რასაც ფიგურათა პლასტიკური ფორმები და მათი რბილი მოძრაობები, ასევე, სახეზე აღბეჭდილი განცდა განსაზღვრავს. ხატის ოქროსფერ ფონზე მკაცრად ვერტიკალურად გამოსახული ფიგურებისა და მათი სამოსის შინდისფერი, მოყვითალო-მწვანე, მუქი ლურჯი თუ მოყვითალო ოხრა მკვეთრ ლაქებად იკითხება. ჯვარცმული ქრისტეს შედარებით დიდი ზომისა და უფრო მაღლა გამოსახული ფიგურის გარშემო ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურების სიმეტრიული განლაგება კომპოზიციას ტექტონიკურ ხასიათს ანიჭებს და მაცხოვრის ფიგურას მნიშვნელოვნებას სძენს.

მეტად საინტერესოა სვანეთში აღმოჩენილი XII საუკუნის მცირე ზომის მოზაიკური ხატი წმინდა გიორგის გამოსახულებით. ხატის ლურჯი, მოვარდისფრო, თეთრი, მწვანე და ოქროსფერი სმალტისა და მარმარილოს წვრილი კენჭები ცვილის საფუძველზეა დამაგრებული. კენჭების თავისუფალი განლაგება ხატის ზედაპირზე მის დინამიკურ და დეკორატიულ ხასიათს განსაზღვრავს. კონტურული ნახატის მნიშვნელობა აქაც, ისევე, როგორც ზოგადად ქართული მხატვრობისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

XIII საუკუნის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება, იკონოგრაფიული თვალსაზრისით, XI–XII საუკუნის წმინდა გიორგის მოზაიკური ხატის მსგავსია – ფეხზე მდგომი წმინდანი ცალი ხელით ფარს ეყრდნობა, აწეულ მარჯვენაში კი შუბი უპყრია. აღსანიშნავია, რომ სახის დაგრძელებული ოვალი, თვალის ჭრილის სქემატური ნახატი, ფიგურის პროპორციების დარღვევა (მოკლე ფეხები, დაგრძელებული ხელები, შედარებით დიდი ზომის თავი) XIII საუკუნისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. ხატი პროვინციელი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

* წმიდა ელია წინასწარმეტყველი. 1030 წ. მცირე სვინაქსარი.*
XI საუკუნიდან ჩვენ შემოგვრჩა მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუში – ზაქარია ვალაშქერდელის მინიატიურები. ხელნაწერი შემორჩენილია ფრაგმენტულად. ამ ნაწილს ამკობს 70-მდე ილუსტრაცია ცალკეულ წმინდანთა და სახარების სცენების გამოსახულებებით. სვინაქსარი გადაწერილია კონსტანტინოპოლში, ხორას მონასტერში და ბრწყინვალე მინიატიურული მხატვრობით ბერძენი ოსტატის მიერ უნდა იყოს გაფორმებული. ხელნაწერის ასეთი მაღალი მხატვრული დონის ფერწერით შემკობა მოწმობს, თუ რა დიდი მოთხოვნები ჰქონდათ ქართველებს ხელნაწერების შემკულობისადმი.

განედლებული ჯვარი. ალავერდის ოთხთავი (1053–1054).
ალავერდის ოთხთავში ყოველ სახარებას წინ უძღვის მახარებლის გამოსახულება, რომელიც, ადრეული ძეგლებისგან განსხვავებით, სკამზე მჯდომი, წერის პროცესშია წარმოდგენილი, რაც მეტ უშუალობას სძენს და თხრობით ხასიათს ანიჭებს მის მხატვრულ სახეს. ოთხთავი გადაწერილია მაგ მთაზე, კალიპოსის ღვთისმშობლის ლავრაში, კალიგრაფების – გიორგისა და იოანე დვალის – მიერ.

განკითხვის დღე. XIII ს. ტიმოთესუბანი

ქრისტეს გამოსახულება. ვარძია. სამხრეთი კარის ტიმპანის ფრესკა. ასლი

ანგელოზი. ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა. დეტალი. ვარძია

XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მხატვრობა

გიორგი მესამისა (1156-1184) და შემდეგ თამარის (1184-1213) მეფობის ეპოქაში, საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად კიდევ უფრო გაძლიერდა, შესაბამისად, კულტურამ და ხელოვნებამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამ ეპოქის მხატვრობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება, თუმცა კომპოზიციები მეტი დეკორატიულობით და დინამიზმით ხასიათდება. ოსტატები აღარ იყენებენ გამოთეთრების მხატვრულ ხერხს. ჩნდება მრავალფიგურიანი კომპოზიციები არქიტექტურული და მთის პეიზაჟის ფონით, თუმცა ძირითადი მნიშვნელობა ყოველთვის ადამიანთა ფიგურებს ენიჭება. კომპოზიციები არქიტექტურული კონსტრუქციის შესაბამისად აღარ ნაწილდება, ანუ კარგავს ტექტონიკურობას და ხალიჩისებურად, ხშირად ჭადრაკისებურად, ეფინება ტაძრების კედლებზე, რაც მოხატულობის სისტემაში დინამიკური, დეკორატიული სტილის განვითარებაზე მიუთითებს. ამ ეპოქის საუკეთესო ძეგლებს შორის ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისისა და ბერთუბნის მოხატულობები გამორჩეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ თამარ მეფის პორტრეტებია წარმოდგენილი.

ტიმოთესუბნის მხატვრობა

ამ დროის ძეგლებს შორის აღსანიშნავია ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოხატულობა, რომელსაც იკონოგრაფიული პროგრამის მეტად რთული ხასიათი გამოარჩევს. ეკლესიის კედლებზე სახარების სხვადასხვა ეპიზოდი, იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების სცენებია გამოსახული. შთამბეჭდავია განკითხვის დღის უზარმაზარი კომპოზიცია, განსაკუთრებით კი – სამოთხის ამსახველი მონაკვეთი. ფიგურები მოძრავი, ემოციური, მოქნილი და პლასტიკურია. ოსტატურადაა შესრულებული სამოსის ნაოჭები. მხატვრობა ღრმა ემოციურობითა და საინტერესო ფერადოვანი გადაწყვეტით გამოირჩევა.

ვარძიის მოხატულობა

კლდეში ნაკვეთი ქალაქის, ვარძიის, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დიდი ეკლესიის ფრესკები (1184-1186) შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. აქ ფრონტალურ ფიგურებს 3/4-ით მობრუნებული გამოსახულებები ცვლის. თვალში საცემია ერთსა და იმავე კედელზე ფიგურების განსხვავებული მასშტაბით გამოსახვა. დასავლეთ კედელზე სცენები ჭადრაკისებურად ლაგდება, კანონიზირების გარეშე, თითქოს თავისუფალ ადგილებს ავსებენ კედელზე. ნახატი მოქნილია და პლასტიკური, შთამბეჭდავია გამოსახულ პერსონაჟთა მოძრაობები და სახეების ემოციური გამომეტყველება.

ჯვარცმა. დეტალი. ვარძია

ყინწვისის მხატვრობა

მონუმენტურია ყინწვისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოხატულობა (XIII ს.), სადაც ყოველი სცენა არქიტექტურული ელემენტებით შემოფარგლულ კედლის მონაკვეთზეა განთავსებული. ფრესკების განაწილების ეს თავისებურება უფრო წინა ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი (ატენის სიონი). ყინწვისის მხატვრობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფიგურათა დახვეწილი ფორმებითა და სახეებით. გამოთეთრებისა და ჩრდილების საშუალებით მოცულობითი ფორმების შექმნის მიუხედავად, წამყვანი მნიშვნელობა აქაც ქართული მხატვრობისათვის დამახასიათებელ ხაზობრიობას ენიჭება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ღია ფერის კოლორიტი, რომელიც შედგება ღია მწვანის, მოწითალო-მოყავისფრო, ღია ცისფრის, ღია ლურჯისა და სხვა ფერებისაგან. მხატვარი თამამად იყენებს ლურჯისა და ცისფრის სხვადასხვა ტონს და ოსტატურად გამოსახავს ლურჯისა და ცისფრის საშუალებით შექმნილ დეტალებს იმავე ფერის ფონზე.

ყინწვისი. ჩრდილოეთი მკლავი. საერთო ხედი

ზიარება. დეტალი

იოაკიმეს გამოსახულება. დეტალი. დავითგარეჯი. ბერთუბანი

ბერთუბანი

მწუხარე ანგელოზი. დეტალი. ბერთუბანი

დავითგარეჯის ბერთუბნის კლდეში გამოკვეთილი მონასტრის ეკლესიისა და სატრაპეზოს კედლებზე (XIII ს.) ამ ეპოქის კიდევ ერთი შთამბეჭდავი მოხატულობა გვხვდება. ცალნავიანი ტაძრის საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია ღვთისმშობელი ყრმითა და მთვარანგელოზებით. კამარაში ჯვრის ამაღლების, ხოლო კედლებზე ღვთისმშობლის ცხოვრების სცენებია გამოსახული. განსაკუთრებით საინტერესოა პერსონაჟების ემოციური სახეები და პოზები, რომლებშიც მათი ხასიათი ვლინდება. ბერთუბნის მოხატულობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია თეთრი ფონით, რომელზეც ფიგურათა გამოსახულებები მკაფიო ფერადოვან ლაქებად იკითხება. აღსანიშნავია იოაკიმეს ფიგურა, რომელიც პეიზაჟშია ჩაწერილი – მის უკან გამოსახული მთა, მაღალი ხეები და ბუჩქები გაცილებით რეალისტურია, ვიდრე შუა საუკუნეებში გავრცელებული პირობითი ხასიათის პეიზაჟი კლდოვანი მთებითა და „ჯუჯა“ ხეებით. მეცნიერები ბერთუბნის მოხატულობაში იტალიური პროტორენესანსის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ხედავენ, რაც ფიგურებისა და გარემოს გამოსახულების რეალურ ფორმებთან მიახლოებაში გამოიხატება.

მაცხოვრის დატირება. ბეთანია

ბეთანია

XII-XIII საუკუნეებში შექმნილი მხატვრობის ნიმუშებს შორის აღსანიშნავია ბეთანიის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ფრესკები, რომლებიც ფორმის დინამიზმითა და პლასტიკურობით, დეკორატიულობით, პერსონაჟთა ემოციური სახეებითა და პოზებით გამოირჩევა. კოლორიტი ყინწვისის, ბერთუბნის, თიმოთესუბნის ფრესკების მსგავსად, მეტად შთამბეჭდავია – ცისფერი, ლურჯი, ღია მწვანე, მოყავისფრო-წითელი და ოხრა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს.

ჯვრის ამაღლება. ჭერის მოხატულობის დეტალი ღვთისმშობლის ცხოვრების სცენებით. ბერთუბანი



XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის მინიატიურები და ფერწერული ხატები

XII საუკუნის მინიატიურულ ფერწერაში მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები შემოგვრჩა.



წმინდა თომას ურწმუნოება. ზატიკი.

ზატიკის (საღვთისმეტყველო კრებული, რომელიც მოიცავს სააღდგომო საგალობლებსა და სახარების ადგილებს, რომლებიც იკითხება აღდგომის კვირიდან მოყოლებული, ვიდრე სულთმოფენობამდე) მინიატიურები ტექსტის გარეშეა შემორჩენილი და სწორედ სახარების შესაბამისი ადგილების ილუსტრაციას წარმოადგენს. მინიატიურებს დახვეწილი ნახატი, ფიგურების პროპორციულობა, ღია ფერის კოლორიტი გამოარჩევს. ფიგურების დამუშავებისას გამოთეთრება და ჩრდილები (მოცულობის მინიჭების მხატვრული ხერხი) ისე ფაქიზადაა გამოყენებული, რომ მკვეთრად შეიგრძნობა ხაზის, როგორც მთავარი სახვითი საშუალების, უპირატესობა, რაც შუა საუკუნეების ქართული ფერწერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. სტილის თვალსაზრისით ეს მინიატიურები გელათის ნარტექსის მოხატულობას ენათესავება.

წმინდა იოანე მახარებელი. გელათის ოთხთავი. იოანეს სახარების თავსამკაული.
გელათის სახარებაში 200-ზე მეტი ილუსტრაციაა. მინიატიურები ოქროსფერ ფონზეა გამოსახული. გელათის მინიატიურული ფერწერა შესრულების მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა.

წინასწარმეტყველება მეორედ მოსვლის შესახებ. ჯრუჭი II ოთხთავი.

საოცარი ოსტატობით გამოირჩევა ჯრუჭის II ოთხთავის ილუსტრაციებიც (300-ზე მეტი). ოქროსფერ ფონზე გამოსახული არქიტექტურისა და პეიზაჟის ელემენტების, ასევე ფიგურების თავისუფალი განლაგება სურათის სხვადასხვა პლანზე სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის, რაშიც ამ მინიატიურების პროგრესული ხასიათი ვლინდება. ფიგურათა ჟესტები და მოძრაობები ექსპრესიულია. შთამბეჭდავია კომპოზიციების წყობაც – კომპოზიციის დეტალები არღვევენ ჩარჩოს საზღვრებს და მოურიდებლად გადადიან მინდორზე.

ზოდიაქოს ნიშანი მშვილდოსანი (ნოემბერი). ასტრონომიული ტრაქტატი. XII საუკუნეს მიეკუთვნება აგრეთვე ასტრონომიული ტრაქტატის მინიატიურები (1188). ტრაქტატი ჩვენამდე მოღწეული, განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქაში შექმნილი ერთადერთი საერო ხასიათის ძეგლია. ზოდიაქოს ნიშნები აქ მხოლოდ გრაფიკული ნახატის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც განსაკუთრებული პლასტიკურობით გამოირჩევა. გამოსახულებები გვერდის ზედა ნაწილს ამკობენ და ტექსტის სტრიქონებისგან ორნამენტული ზოლითაა გამოყოფილი. შთამბეჭდავია ორნამენტი, სადაც მცენარეულ მოტივში ჩართულია ფიგურული გამოსახულებები. ზუსტად ასეთივე ორნამენტი გვხვდება უდაბნოს ეკლესიის მოხატულობაში და ჯრუჭის II ოთხთავში.

წმინდა მარკოზ მახარებელი. ნათლისღება. ვანის ოთხთავი. წმინდა მარკოზის სახარების თავსამკაული.
მეტად საინტერესო ძეგლია ვანის ოთხთავი, რომელიც თამარ მეფის დაკვეთით შეიქმნა. გაფორმების ხარისხითა და შესრულების ოსტატობით, ეს ოთხთავი სადღესასწაულო ხასიათის ხელნაწერის საუკეთესო ნიმუშია. ვანის სახარება ამავე პერიოდის ბერძნულ ხელნაწერებთან სიახლოვეს ამჟღავნებს. მინიატიურების ავტორი ბერძენი მხატვარი მიქაელ კორესელია. ოთხივე მახარებლის გამოსახულება ორნამენტულ ჩარჩოშია ჩასმული, ხოლო მათ თავზე დღესასწაულის სცენებია გამოსახული. კამარები უხვად ორნამენტირებულია, სადაც უკვდავების წყლის შადრევნები და მათკენ მიმართული ცხოველების ან ფრინველების გამოსახულებებია წარმოდგენილი. ყოველი კამარა შემკულია წელიწადის თვეების სიმბოლოებით.

მინიატიურული მხატვრობის საინტერესო ნიმუშია ეფრემ მცირეს თარგმნილი და XII საუკუნეში დასურათებული წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი. განსაკუთრებით საინტერესოა „წმინდა მამაის“ გამოსახულება, რომელიც ქართულ ჭედურ ხელოვნებაში ტონდოს სახით გვხვდება, ასევე გამოსახულია იშხისა და მანგლისის ტაძრების კედლებზე, XI საუკუნის მოხატულობებში. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ილუსტრაციები ხაზობრივი, პლასტიკური ნახატით, კომპოზიციის ნათელი, გაწონასწორებული ხასიათით, ფორმათა განზოგადებითა და მონუმენტურობით, კედლის მხატვრობის ამავე პერიოდის, უფრო მეტად კი XI საუკუნის ნიმუშებთან სიახლოვეს ამჟღავნებენ.

თანადროული კედლის მხატვრობის ნიმუშებთან სიახლოვეს ავლენენ ამავე პერიოდში შექმნილი ხატწერის ძეგლებიც. XII-XIII საუკუნეებშია შესრულებული სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მაცხოვრის ხატი. სწორი პროპორციები, სახის დახვეწილი ნაკვთები და ფერადოვანი გადასვლებით (ღია ყავისფერი, ცისფერი, თბილი მოყვითალო ოხრა) შექმნილი სახის ფორმათა რბილი მოდელირება, ამავე დროს, მკაფიო, გრაფიკული ნახატი, ხატს დედაქალაქის სკოლის მხატვრობასთან, უფრო მეტად კი ყინწვისის ფრესკებთან აახლოებს.



XII-XIII საუკუნეების სვანურ ხატებს შორის შეიძლება გამოვყოთ ე.წ. ხალხური ნიმუშები, მაგალითად, იფრარის ეკლესიაში დაცული მთავარანგელოზის ხატი. ექსპრესიის შეგრძნება აქ უჩვეულოდ გადიდებული თვალების გამოსახულებითა და გრაფიკული ნახატის დინამიკური ხასიათითაა მიღწეული.

შთამბეჭდავია XIII საუკუნის „ელეუსა“ ლაგურკადან, რომელიც საოცარი ემოციურობით ხასიათდება. ხაზოვანი გრაფიკული ნახატი მხატვრული სახის ექსპრესიას კიდევ უფრო აძლიერებს.

შთამბეჭდავია ლაფსხალდის სახარების (XII ს.) კამარის შემკულობა, რომელსაც ვანის ოთხთავის მსგავსი მხატვრული მოტივები ამკობს და დეკორატიული გაფორმების ოსტატობით და მკვეთრი ფერადოვანი გადაწყვეტით გამოირჩევა.

ვედრება. საიდუმლო სერობა. XIV ს. უბისა

წმინდა მთავარანგელოზი გაბრიელი. XIV ს. მხატვარი კირ მანუელ ევგენიკოსი. წალენჯიხა

გვიანი შუა საუკუნეების პალეოლოგოსური მხატვრობა

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, თათარ-მონღოლთა შემოსევების გამო, საქართველოში სამი საუკუნის განმავლობაში უმძიმესი ვითარება სუფევდა. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნემდე, ფერწერა, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში ვითარდებოდა. დასავლეთ საქართველოს, რომელსაც მონღოლთა შემოსევების სიმძიმე არ განუცდია, მჭიდრო კულტურული ურთიერთობები აკავშირებდა ბიზანტიასთან. ამ დროიდან ქართულ მხატვრობაში ბიზანტიაში გავრცელებული პალეოლოგოსური ხელოვნების (ბიზანტიაში, პალეოლოგოსთა მმართველობის ხანაში ხელოვნებაში ჩამოყალიბებული მხატვრული სტილი) მხატვრული ტენდენციები ჩნდება. ქართული მხატვრობის უწინდელი მონუმენტალიზმი მცირე, მინიატიურული ხასიათის მრავალფიგურიანი კომპოზიციებით იცვლება, ნახატი დინამიკურია და ტეხილი, რაც ექსპრესიას სძენს გამოსახულებებს; ფიგურების ფორმები დაგრძელდა, ხაზობრივ ნახატთან შედარებით მეტ მნიშვნელობას იძენს ფერწერული დამუშავება, რბილ კოლორიტს მკვეთრი ფერადოვანი გადაწყვეტა ცვლის. ძველი იკონოგრაფიული სცენები (მაგალითად, „ჯვრის ამაღლება“ გუმბათის კონქში) ადგილს უთმობს ბიზანტიურ კომპოზიციებს (ქრისტე პანტოკრატორის გამოსახულება გუმბათის კონქში).

ზარზმა. დეტალი. XIV ს.

ჯვარცმა. დეტალი. მარტვილი



XIV–XV საუკუნეების მინიატიურები და ფერწერული ხატები

XIV–XV საუკუნეების მინიატიურული მხატვრობაც პალეოლოგოსური სტილითაა შთაგონებული. ამ ეპოქის ძეგლებისთვის (მოქვის სახარება (1300 წ.), ლარგვისის ზატიკი) ფორმათა ცხოველხატული დამუშავებაა დამახასიათებელი, რაც პალეოლოგოსთა მხატვრობის ნიშანია. თუმცა, ამ სტილის ბიზანტიურ ნიმუშებთან შედარებით, ქართულ მინიატიურებში კომპოზიციები შედარებით მარტივია და გრაფიკული.

მოქვის ოთხთავი

ფსალმუნი. XV ს. წინასწარმეტყველ მოსეს ლოცვა.
ამ პერიოდის მეტად შთამბეჭდავი ნიმუშია დავითის ფსალმუნის ილუსტრაციები – წითელ ფონზე გამოსახული ბიბლიის სიუჟეტები და წმინდანთა გამოსახულებები, დახვეწილი ხასიათის ორნამენტული ნახატი.

XIV საუკუნის უბისის ტრიპტიქონი ბიზანტიაში განვითარებულ პალეოლოგოსთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს – კომპოზიციები, ასევე, ფიგურათა პოზები რთულდება, იქმნება სივრცის ილუზია, მოძრაობები ხდება დინამიკური. იცვლება და უფრო მკვეთრი ხდება კოლორიტი – ღიაფერადოვან ლაქებს მკვეთრად უპირისპირდება მწვანე, იასამნისფერი, შიგადაშიგ წითელი ლაქები.

პალეოლოგოსური სტილისგან განსხვავებულია XIII–XIV საუკუნეების მაცხოვრის ხატი წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან (სოფ. ხე), რომელიც ზუსტად იმეორებს ამავე ტაძრის აფსიდის მოხატულობას – „ქრისტეს დიდების“ კომპოზიციას. ტახტზე მჯდომი ქრისტეს გამოსახულება გრაფიკული და დეკორატიულია.

განკითხვის დღე. დეტალი. XVI ს. ბუგეული.
ამავე ეპოქაში სვანეთისა და რაჭის ძეგლებში აღსანიშნავია ხალხური ხელოვნების ნიშნები, რაც აღქმის უშუალობაში, ნახატის სიბრტყობრივ და გრაფიკულ ხასიათში ვლინდება. ამის ნათელი მაგალითია ბუგეულის მოხატულობა, რომელსაც ხალხური ნაკადის მხატვრებისთვის დამახასიათებელი უშუალო ექსპრესიულობა გამოარჩევს.

სვეტიცხოვლის შიდა კოშკის მოხატულობის ფრაგმენტი. XVII საუკუნის მოხატულობებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა აწჩისხატისა და სვეტიცხოვლის შიდა კოშკის გრიგოლ გულჯავარასაშვილისეული მოხატულობა (1673–1688), რომელიც, მართალია, მინიატიურული მხატვრობის გადიდებულ ნიმუშებს მოგვაგონებს, თუმცა, ადრეული ხანის ქართული მხატვრობის ტრადიციებს აგრძელებს და გამომსახველი ნახატით, რბილი, ჰარმონიული კოლორიტით გამოირჩევა.

XVI–XVIII საუკუნეების მხატვრობა

XVI საუკუნიდან მთელ საქართველოში კვლავ იწყება ინტენსიური მხატვრული მოღვაწეობა. იქმნება ახალი ფრესკები და გადაიწერება ძველი ტაძრები. დასავლეთ საქართველოში მოიხატა გელათის მთავარი ტაძარი, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ტაბაკინი, მარტვილი, ნიკორწმინდა, ასევე – ხობის, წალენჯიხის ეგვტერები; აღმოსავლეთ საქართველოში – სამთავრო, სვეტიცხოველი, ნეკრესი, გრემი, ახალი შუამთა, ალვანი, ნაწილობრივ – ალავერდი. ამ მოხატულობებს განსხვავებული მხატვრული თავისებურებები გამოარჩევს. ოსტატთა ერთი ჯგუფი, ერთი მხრივ, გვიანპალეოლოგოსურ ტრადიციებს აგრძელებს, თუმცა ფრესკები შედარებით უხეშია და მანერული, კოლორიტი – მშრალი. მონუმენტური მხატვრობა თავისი ხასიათით ხატწერას უახლოვდება. ამ მოხატულობებში იკონოგრაფიული სქემა სიმბოლური გამოსახულებებით რთულდება, კომპოზიციები დანაწევრებულია და დეკორატიული, ნახატი – პირობითი, ფორმები კი – სქემატური.



აღმოსავლური ხელოვნების დიდი გავლენითაა შექმნილი ჩვენამდე მოღწეული დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ ნიმუშებიც, რომელიც XVII საუკუნეშია შესრულებული. მკვეთრი ფერადოვანი გადაწყვეტა, დეკორატიული და სიბრტყობრივი ხასიათი, წერის ხაზობრივი მანერა განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების აღმოსავლურ ხასიათს.

განსხვავებულია მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს გადაწერილი და გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ლევან დადიანის სასახლის კარზე შესრულდა. ამ ოსტატის მიერ შექმნილი გამოსახულებები განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი აქტიურად იყენებს იმდროინდელი სამეგრელოს ცხოვრებისთვის დამახასიათებელ ყოფით დეტალებს, ცდილობს, თავი აარიდოს აღმოსავლურ გავლენებს და ქართული ტრადიციებით იხელმძღვანელოს. ნათელია, რომ მამუკა თავაქარაშვილი ხალხური ნაკადის შემოქმედია და მისი მინიატიურები აღქმის უშუალობით ხასიათდება.

XVI–XVIII საუკუნეების მინიატიურები და ფერწერული ხატები

ორი მიმართულება შეინიშნება ამ პერიოდის მინიატიურებშიც. რელიგიური შინაარსის ხელნაწერები პოსტბიზანტიური ან პოსტპალეოლოგოსური სტილის თავისებურებებისა და ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე იქმნება. ამ თვალსაზრისით 1681 წელს შექმნილი ანჩისხატის გულანი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. XVI საუკუნეში, პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, საქართველო ირანისა და თურქეთის კულტურული ზეგავლენის ქვეშ მოექცა, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი საერო ხასიათის მინიატიურებსა და ქტიტორთა (ტაძრებისა და მოხატულობათა დამკვეთი საერო პირი) პორტრეტებში. აქ ნათლად იკვეთება ირანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები. მჭიდრო კულტურული კავშირების საფუძველზე აღმოსავლური სამყაროდან შემოდიოდა და ითარგმნებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები: „ვისრამიანი“, „შაჰნამე“, „ქილილა და დამანა“. ეს ძეგლები გაფორმებულია მინიატიურებით, რომლებიც აღმოსავლური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებითა და ხასიათით გამოირჩევა. გვიანი ხანის ხატებზეც (XVI–XIX საუკუნეები) სხვადასხვა მხატვრული ტრადიციის გავლენა შეინიშნება. ადგილობრივ სტილისტურ ნიშნებთან ერთად, ქართულ მხატვრობაში აშკარად ვლინდება პოსტბიზანტიური, აღმოსავლური (ირანული), რუსული და დასავლეთევროპული ხელოვნების ტრადიციები.

ქართული ხელნაწერი წიგნი XIX საუკუნემდე არსებობდა. შემდეგ ის ნაბეჭდმა პროდუქციამ ჩაანაცვლა.

ამ პერიოდის ხატებს შორის აღსანიშნავია შობის ხატი ნიკორწმინდიდან (XVI–XVII სს.) გამოსახულება მრავალფიგურიანია და მინიატიურული ფორმებით გამორჩევა, რითაც სინურ ხატებთან სიახლოვეს ამჟღავნებს.

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა. ანჩისხატის გულანი. 1681 წ.

ახალი ქართული მხატვრობა

XVII–XVIII საუკუნების ქართულ მხატვრობაში დასავლეთ ევროპის ხელოვნების გავლენა შეინიშნება, რასაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში კათოლიკე მისიონერების აქტიურმა მოღვაწეობამ (მაგ. თეათინელი ბერი დონ კრისტოფორო დე კასტელი), რომლებიც დახელოვნებული მხატვრები იყვნენ. მეორე მხრივ, ევროპულ ხელოვნებასთან ზიარება ხორციელდებოდა რუსეთის საშუალებით. 1724 წელს მოსკოვში გადასახლებულ ვახტანგ მეექვსეს თან ახლდნენ ქართველი ოსტატებიც (იოსებ თურქესტანიშვილი, გრიგოლ და სოლომონ მესხიშვილები, ნიკოლოზ აფხაზი), რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ და აეთვისებინათ ევროპული მხატვრობის ტრადიციები.

თორნიკე ქსნის ერისთავის ქალიშვილი ნინო. 1829 წ. ტილო, ზეთი. 135X90

კულტურული განვითარება

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იწყება პოლიტიკური აღმავლობის ხანა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ხელოვნების, ზოგადად, კულტურის განვითარებისათვის. ქართული ხელოვნება თანდათან თავისუფლდება აღმოსავლური, მაჰმადიანური კულტურის გავლენისგან და ორიენტაციას რუსულ, ხოლო რუსეთის საშუალებით, ევროპულ კულტურაზე იღებს. ძლიერდება ეროვნული ტრადიციები. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართველი მხატვრები პროფესიულ განათლებას რუსეთსა და ევროპაში იღებენ და მათთვის ახალ, რეალისტური ხელოვნების, პრინციპებს ითვისებენ. სახვით ხელოვნებაში, ადრეული შუა საუკუნეებიდან, საქართველოში განვითარებულ მონუმენტურ და მინიატიურულ მხატვრობასთან, ასევე ხატწერასთან ერთად, განვითარდა ისეთი მნიშვნელოვნი დარგები, როგორებიცაა დაზგური ფერწერა და გრაფიკა. სახვითი ხელოვნების ამ დარგის გაჩენა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც ქართული ხელოვნების ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომაზე მიუთითებს.

თავადი ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრან-ბატონი ოჯახით. 1862 წ. ტილო, ზეთი. 89X129. XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ყალიბდება ე. წ. ტფილისური პორტრეტული სკოლა. ამ მეტად საინტერესო და ორიგინალური პორტრეტების მხატვრული გადაწყვეტის საფუძველი შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობაა. თუმცა, აღმოსავლური, კერძოდ კი ყაჯარული პორტრეტებისა და მინიატიურული მხატვრობის გავლენის კვალიც თვალნათლივ შეინიშნება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწარმოებები შესრულების ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებითა და მხატვრული სახის ხასიათის გახსნის მცდელობით გამოირჩევა.

დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშები

ქართული დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშები ქართველ მეფეთა და სამეფო კარის წარმომადგენელთა პორტრეტებია. პორტრეტების ადრეულ ნიმუშებში (სოლომონ პირველი, თეკლა ბატონიშვილი, ფარნაოზ ბატონიშვილი და ა.შ.) ნათლად იკვეთება ტრადიციული, ევროპული „კარის“ (სამეფო კარის წარმომადგენელთა) პორტრეტების გავლენა, რაც სურათების სადღესასწაულო და ფერწერულ-პლასტიკურ ხასიათში ვლინდება.

საერო პორტრეტის ისტორია

შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში ქტიტორული პორტრეტის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა. საეკლესიო მხატვრობაში ისტორიულ პირთა საკმაოდ დიდი ზომის გამოსახულებები გვხვდება, რომლებიც 3/4 ბრუნში, ან ფრონტალურად, ვედრების ნიშნად წინ გაწვდილი ხელებით არიან წარმოდგენილი იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის ან რომელიმე წმიდანის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ პირთა ფიგურები წმინდანთა ფიგურებზე დიდი ზომისაა, მონუმენტურია და დომინირებს კომპოზიციაში. ბიზანტიისაგან განსხვავებით, სადაც ქტიტორები ეკლესიის ნარტექსის ან გვერდითი გალერეის კედლებზე არიან გამოსახულნი, საქართველოში ბოლომდე შენარჩუნდა ისტორიულ პირთა პორტრეტების ტაძრის შიდა სივრცეში, ძირითადად, ჩრდილოეთის კედლის ქვედა რეგისტრში გამოსახვის ტრადიცია.

1896 წელს გიგო გაბაშვილი ქმნის სურათს „ბაზარი სამარყანდში“. დიდი ზომის მონუმენტური კომპოზიცია დაწერილია სწრაფად, თავისუფლად. მხატვარი ქმნის დინამიკურ, ხმაურიან, სივრცეში გაშლილ გარემოს, რომელშიც სხვადასხვა ხასიათის მოვლენაა ასახული. კომპოზიციის ჰარმონიული მთლიანობა ფერადოვანი გადაწყვეტისა და სასურათე სიბრტყეზე გამოსახულებათა რიტმული მონაცვლეობით იქმნება. აღსანიშნავია, რომ გიგო გაბაშვილი ქართული მხატვრული ფოტოგრაფიის ფუძემდებელია.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მხატვრობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში უკვე არაერთი პროფესიონალი შემოქმედი მოღვაწეობდა, რომლებმაც განათლება სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში მიიღეს. ქართველ მხატვართა – გიორგი მაისურაძის (1871-1885), რომანოზ გველესიანის (1859-1884), გიგო გაბაშვილის (1862-1936), დავით გურამიშვილის (1857-1926), მოსე თოიძისა (1871-1953) და სხვათა შემოქმედება ქართული მხატვრობის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს გვიჩვენებს. მათს ნამუშევრებს შესრულების პროფესიული მანერა, მხატვრული სახის ხასიათის გახსნისადმი სწრაფვა და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები გამოარჩევს.

1914 წელს მოსე თოიძე ქმნის სურათს „ბაზაზხანა“, სადაც რეალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მკვეთრი ლოკალური ფერებითა და ფუნჯის დინამიკური მონასმებით შექმნილი დეკორატიული გამოსახულება ცვლის, რაშიც აღმოსავლური ხელოვნებით გატაცება შეინიშნება. რეალისტური გამოსახულებების უარყოფა, სიბრტყობრივობა, ფერადოვანი ლაქების საშუალებით შექმნილი დეკორატიულობა მოსე თოიძის შემოქმედებას ევროპულ ხელოვნებაში ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ მოდერნის სტილთან აკავშირებს. „თოიძის შემოქმედების ქრონოლოგიური განხილვა ადასტურებს, რომ მან სულ მცირე დროში ქართული ფერწერა საერთო-ევროპული და რუსული ხელოვნების მხატვრული პრობლემების დონეზე აიყვანა“ (ი. არსენიშვილი).

ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანაშვილის (1862-1918) თვითმყოფადი შემოქმედება ქართული მრავალსაუკუნოვანი ხელოვნების ღირსშესანიშნავი და ერთ-ერთი ორიგინალური ნაწილია. თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედება შუა საუკუნეების ქართულ ფრესკულ მხატვრობასა და რელიეფებთან კავშირს ავლენს. ამავე დროს, ფიროსმანის მხატვრობა იმ პერიოდში ევროპულ ხელოვნებაში განვითარებული ავანგარდული ხელოვნების მისწრაფებებისა და ამოცანების საუკეთესო გამოვლინებაა.

ნადირობა ინდოეთში. მუშამბა, ზეთი

„ხედავ ფიროსმანს – და გჯერა საქართველო“

ფიროსმანის ნამუშევართა თემატიკა საოცრად მრავალფეროვანია: რთველი, აღდგომა, საეკლესიო დღესასწაულები, ქორწილი, ისტორიული პერსონაჟები, საქართველოს ბუნება და ხალხის წეს-ჩვეულებები, ცხოველთა სამყარო, თბილისისა და მშობლიური კახეთის სოციალური ტიპები. მხატვრის დამოკიდებულება სამყაროსადმი, ადამიანისადმი, ყოველი სულიერისადმი სიყვარულითა და უშუალობით არის გამსჭვალული. ფიროსმანი სურათებს ძირითადად შავ მუშამბაზე, იშვიათად კი თუნუქზე ქმნიდა. მუშაობდა ძალიან სწრაფად – ვირტუოზულად, თითო-ორი მონასმით ქმნიდა გამოსახულებათა განზოგადებულ, ძირითად ფორმებს, რომლებიც საოცრად მეტყველი, უშუალო და დინამიკურია. ლაკონიურია და, ამავე დროს, მრავალფეროვანი ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების ფერადოვანი გადაწყვეტა.

„ხედავ ფიროსმანს – და გჯერა საქართველო“ – წერდა გრიგოლ რობაქიძე.

წმინდა გიორგის დღეობა ბოლნისში. მუყაო, ზეთი. 79X269

XX საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრობა

1910-იანი წლებიდან ქართულ მხატვრობაში ეროვნული მხატვრული ფორმის ძიებისა და დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობს. ამ პერიოდში მოღვაწე ახალგაზრდა მხატვრები ევროპული ხელოვნების ტრადიციებს მასთან უშუალო კავშირის საფუძველზე ეზიარნენ – მათი დიდი ნაწილი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად კი, პარიზში მოღვაწეობდა. გაჩნდნენ ისეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო შემოქმედები, როგორებიც არიან: ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი და სხვები.

▲
ვალერიან სიდამონ-ერისთავი.
დავით კლდიაშვილის პორტრეტი. 1921 წ.
ტილო, ზეთი. 64X60
ვალერიან სიდამონ-ერისთავის (1889-1943) შემოქმედება XIX საუკუნის დასასრულის რეალისტური ხელოვნების ტრადიციებთანაა დაკავშირებული. თუმცა, 1910-იანი წლების ბოლოს სიდამონ-ერისთავის მხატვრობა თავისი ხასიათით მოდერნის სტილს უახლოვდება.

▼
ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი. ფრენბურთი.
1939 წ. ტილო, ზეთი. 60X70
საინტერესო ფიგურაა ქართულ მხატვრობაში ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი (1891-1966), რომელიც უაღრესად დახვეწილი და ორიგინალური ფერმწერია. მხატვარს ჯადოსნური სამყარო იტაცებდა, რომელშიც მომხიბვლელი ასულები და ცირკის მსახიობები ცხოვრობდნენ. მხატვრის მიერ შექმნილი სურათები ფუნჯის დინამიკური მონასმებით, ობილი და მსუყე კოლორიტით გამოირჩევა. მის შემოქმედებაში ფრანგი რომანტიკოსი მხატვრების, იმპრესიონისტებისა და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სახვით ხელოვნებაში ჩამოყალიბებული მხატვრული მიმდინარეობების თავისებურებები პოვებს ასახვას. მხატვრის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის ქართველი მხატვრების შემოქმედებაზე.

▲
დიმიტრი შევარდნაძე.
არლეკინი. მუყაო, ზეთი. 52X36
დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937) – შესანიშნავი მხატვარი, ქართული კულტურის ქომაგი, სურათების გალერეის, მოგვიანებით კი ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ამავე დროს, მან საფუძველი ჩაუყარა თეატრის მხატვრობის განვითარებას საქართველოში. სამხატვრო განათლება გერმანიაში მიიღო, რაც ნათლად ვლინდება მის შემოქმედებაში – დიმიტრი შევარდნაძის შემოქმედება გერმანულ ექსპრესიონიზმთან, იმპრესიონიზმთან, ფოვიზმთან სიახლოვეს ამჟღავნებს.

▲
ქეთევან მაღალაშვილი. იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი. 1922 წ. ტილო, ზეთი. 105X69
ქეთევან მაღალაშვილი (1894-1973) ერთ-ერთია იმ ქართველ მხატვართაგან, რომლებიც გარკვეულ პერიოდში პარიზში მოღვაწეობდნენ. მხატვარი ძირითადად პორტრეტებს ქმნიდა, რომლებშიც მეტყველად არის ასახული ადამიანთა ხასიათი და მათ მიმართ ავტორის კეთილგანწყობა.

▶
კირილე ზდანევიჩი. ნიუ. ტილო, ზეთი. 123X91
პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვარი კირილე ზდანევიჩი (1892-1975) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედია ახალ ქართულ ხელოვნებაში. მხატვრის შემოქმედება XX საუკუნის დასავლური ხელოვნების ავანგარდითაა შთაგონებული და, ამავე დროს, ძველი ქართული ფერწერის მონუმენტურ-დეკორატიულ ტრადიციებთან სიახლოვეს ინარჩუნებს. სწორედ ამ მიზეზით ზდანევიჩის მხატვრობა, ერთდროულად, ქართულიცაა და სხვადასხვა კულტურის ტრადიციების მატარებელიც. ზდანევიჩის უდიდესი დამსახურებაა ნიკო ფიროსმანაშვილის „აღმოჩენა“.

▼
შალვა ქიქოძე. უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად. ავტოპორტრეტი. 1920 წ. ტილო, ზეთი. 96X101
შალვა ქიქოძე (1894-1921) სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა საფრანგეთში. იგი ქართული მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში მთელი სიცხადით წარმოჩნდა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ევროპული და რუსული ხელოვნების თავისებურებები, უფრო მეტად იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმისა და მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები.



▲
დავით კაკაბაძე. აბსტრაქციული კომპოზიცია.
1927 წ. მუყაო, ზეთი. 46X61
დავით კაკაბაძე (1889-1952) ქართული მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ორიგინალური შემოქმედია. იგი იყო ახალი გზების მაძიებელი, ექსპერიმენტატორი, თეორეტიკოსი, მოაზროვნე. დავით კაკაბაძის შემოქმედებაში, რომელიც შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ტრადიციებზეა დამყარებული, სიმბოლიზმისა და მოდერნის სტილის, ასევე ავანგარდული მხატვრული მიმდინარეობების – კუბიზმის, დადაიზმის, აბსტრაქციონიზმის საინტერესო ნიმუშები გვხვდება.

▼
ლადო გუდიაშვილი. მერანი. 1918 წ. ტილო, ზეთი. 154X107
ლადო გუდიაშვილი (1896-1980) მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ხასიათდებოდა განსაკუთრებული ნიჭიერებითა და შემოქმედებითი ინდივიდუალიზმით. მისი შემოქმედება, რომლის მყარი საფუძველიც ქართული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა და მინიატიურული ფერწერის ტრადიციებია, სრულ შესაბამისობაშია მოდერნის სტილთან. ლადო გუდიაშვილს იტაცებდა ქართული მითები და ზღაპრები, ეგზოტიკური სამყარო. ამ გატაცებით აიხსნება მისი სურათების რომანტიკული ხასიათი, სადაც ჰარმონიულად თანაარსებობს რეალური და ზღაპრული.

ელენე ახვლედიანი. ზამთარი. კახეთი. 1924 წ. ტილო, ზეთი. 67X69,5
ელენე ახვლედიანი (1901-1975) პეიზაჟური ჟანრის ოსტატია. მისი სურათები ლირიზმითა და რომანტიზმითაა აღსავსე, ტემპერამენტული და ემოციურია. მხატვარი თითქმის არასოდეს გამოსახავს ადამიანებს. მიუხედავად ამისა, მის სურათებზე ნათლად იგრძნობა ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს ორგანული ურთიერთკავშირი. მისი ნამუშევრები წერის მეტყველი, თამამი და თავისუფალი მანერით გამოირჩევა, ახასიათებს საოცარი ფერადოვნება.

თამარ აბაკელია.
გიორგი საakაძის პორტრეტი. 1943 წ.
ქაღალდი, შერეული ტექნიკა. 63X47
თამარ აბაკელია (1905-1953) სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა. თუმცა მისი უპირველესი გატაცება ქანდაკება იყო. ფერწერასა და გრაფიკაში შექმნილი გამოსახულებები რთული მოძრაობებით, მოცულობიანი, ძლიერი ფორმებით გამოირჩევა, რაც მხატვარს პერსონაჟების ხასიათის შექმნაში ეხმარება.

სერგო ქობულაძე. დანტე ალიგიერი.
1977 წ. ოფორტი. 48X29
სერგო ქობულაძე (1909-1978) ქართული გრაფიკული ხელოვნების უდიდესი ოსტატია. მას ჰეროიკული ხასიათები იზიდავს და მიქელანჯელოს გმირები აღაფრთოვანებს. ქობულაძის შემოქმედების შთაგონების წყარო იტალიური რენესანსისა და კლასიციზმის ხელოვნებაა. იგი ერთდროულად ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი და თეატრის მხატვარია. მის მიერ შექმნილ ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნისა“ და უილიამ შექსპირის ნაწარმოებების ილუსტრაციები.
ასევე შთამბეჭდავი იყო სერგო ქობულაძის მიერ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის შექმნილი საზეიმო ფარდა (1960), რომელიც, საბჭუხაროდ, ოპერის თეატრის ხანძრის დროს განადგურდა.

სოლიკო ვირსალაძე.
აბესალომ და ეთერი. ესკიზი
სოლიკო ვირსალაძის (1909-1989) სახელს უკავშირდება ქართული კლასიკური ბალეტის განვითარება, ლიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ შექმნილი „ნაციონალური ბალეტისა“ და რუსული კლასიკური ბალეტის მსოფლიო წარმატება. მას გაფორმებული აქვს მრავალი დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლი, რომლებიც მუსიკის, ქორეოგრაფიისა და მხატვრობის ჰარმონიული ერთიანობის საუკეთესო ნიმუშებია. მხატვრის მიერ 1940-იან წლებში შეიქმნა და საფუძვლიანად დამკვიდრდა ქალისა და მამაკაცის ქართული ეროვნული კოსტიუმი.

ფელიქს ვარლამიშვილი.
მეთევზეები
მკაფიო ინდივიდუალიზმი გამოარჩევს ფელიქს ვარლამიშვილის, ვარლას (1903-1986) შემოქმედებას. მხატვარმა შემოქმედებითი ცხოვრება, ძირითადად, პარიზში გაატარა. ნათელი კოლორიტი, წაგრძელებული ფორმები და მეტყველი სილუეტები მის სურათებს ლირიზმითა და სიმსუბუქით ავსებს.

აპოლონ ქუთათელაძე. ჩაის კრეფა.
1957 წ. ტილო, ზეთი. 201X100
აპოლონ ქუთათელაძე (1900-1972) ქართული საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ქართულ მხატვრობაში მან ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ბატალური და ისტორიულ-რევოლუციური ჟანრი. მისი სურათები საკმაოდ ემოციურია. აპოლონ ქუთათელაძე მრავალი წლის განმავლობაში, თბილისის სამხატვრო აკადემიის უცვლელი რექტორი იყო.

უჩა ჯაფარიძე.
მარტოობის ძახილი.
1930 წ. მუყაო, ზეთი. 32X33
ქართული რეალისტური მხატვრობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია უჩა ჯაფარიძე (1906-1988). მისი შემოქმედება თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ისტორიულ-რევოლუციური სურათები, პეიზაჟი, სოფლის სცენები, პორტრეტები მაღალი პროფესიული ოსტატობითაა შესრულებული.

პეტრე ოცხელი. ავიატორი. ესკიზი. თბილისი, 1936 წ. ქაღალდი, აკვარელი, ტუში. 43,7X31,5 სმ.
პეტრე ოცხელი (1907-1937), აქტიურად თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან. მათი შემოქმედებითი კავშირი საოცარი ჰარმონიულობით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა შემოქმედი სავსებით იზიარებდა ეპოქის უახლეს მხატვრულ ტენდენციებს. მდიდარი ფანტაზიისა და ტემპერამენტის საფუძველზე სრულიად განსხვავებულ, ინოვაციურ მხატვრულ ფორმებს ქმნიდა, რაშიც ტექნიკური სიახლეებისადმი ინტერესი იკვეთებოდა. მისი შემოქმედება ლაკონიურობითა და მონუმენტურობით, კონსტრუქტივიზმის მხატვრული თავისებურებების ინდივიდუალური ინტერპრეტაციით გამოირჩევა. ახალგაზრდა მხატვარი 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა.

ირაკლი გამრეკელი.
ბერიკობა.
კოსტიუმის ესკიზი სპექტაკლისათვის.
ქაღალდი, აკვარელი, თეთრა.
35X19,3
ირაკლი გამრეკელი (1894-1943) ქართული თეატრალური მხატვრობის უნიჭიერესი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება დიდ ქართველ რეჟისორებთან – კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელთან – მჭიდრო ურთიერთობის ფონზე ვითარდებოდა. ირაკლი გამრეკელი ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში ევროპაში XX საუკუნის დასაწყისში განვითარებული მხატვრული მიმდინარეობის – კონსტრუქტივიზმის – ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ირაკლი თოიძე. პლაკატი.
დედა-სამშობლო გვეძახის
ირაკლი თოიძე (1902-1982) ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მხატვარმა მეტად საინტერესო მხატვრული ნამუშევრები შექმნა, როგორც გრაფიკულ ხელოვნებაში, ასევე – ფერწერაში. ირაკლი თოიძე პლაკატის აღიარებული ოსტატია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის“, რომელიც მონუმენტურობით, დინამიზმით, შინაგანი სიძლიერითა და ემოციურობით გამოირჩევა.

დიმიტრი ერისთავი. კლასობანა. 1958 წ. ქაღალდი, პასტელი, ფერადი ფანქარი. 63X43,5

ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე. გიზელა. 1968 წ. ტილო. ზეთი.

თენგიზ მირზაშვილი. პეიზაჟი, ტილო, ზეთი. 27X30



გურამ (ხიტა) ქუთათელაძე. გურიის პეიზაჟი. 1967 წ. ტილო, ზეთი. 75X150

რევაზ თარხან–მოურავი. ცერული. 1957 წ. ლინოგრავიურა. 55,5X63

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრობა

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგია, რაც ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებაში და თემებისა და სიუჟეტების შერჩევაში გამოვლინდა. მხატვართა შემოქმედებაში ჩნდება რევოლუციური თემატიკა, სოფლისა და ქალაქის თანამედროვე ცხოვრების, მშენებლობისა და შრომის ამსახველი სურათები, იქმნება პეიზაჟები და პორტრეტები. ზოგიერთი მხატვრის შემოქმედება, მოექცა რა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ, საკმაოდ ერთფეროვანი გახდა. თუმცა, ათწლეულების განმავლობაში, კულტურის აგიტაციურ-პროპაგანდისტული ფორმების მომძლავრების მიუხედავად, ქართულ ხელოვნებას თვითმყოფადი სახე არ დაუკარგავს და 1950-იანი წლების ბოლოდან, საბჭოთა კავშირში მიმდინარე ხრუშჩოვისდროინდელი „დათბობის“ პროცესების ფონზე, ძალზე საინტერესოდ განვითარდა.

ზურაბ ნიჟარაძე. ცირკი. 1978 წ. ტილო, ზეთი 61X81

ჯიბსონ ხუნდაძე. შემოდგომა. 1988 წ. ტილო, ზეთი 61X61,3

ედმონდ კალანდაძე. პეიზაჟი. მთები. 1976 წ. ტილო, ზეთი. 69X74

ორმოცდაათიანელები

1950-იანი წლების შუა ხანიდან მოღვაწეობას იწყებს ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრების მთელი თაობა. მათ ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული, ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნისა და ლირიკულის აღმოჩენა, მაღალი ხელოვნების ტრადიციებისადმი ერთგულება, ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესი და მათ საფუძველზე ახალი სახვითი საშუალებების ძიება ახასიათებთ. თამამი კომპოზიციური გადაწყვეტა, წერის თავისუფალი მანერა, ხასიათების სიმძაფრე, ლირიზმი, განზოგადება და ტიპიზაცია ედმონდ კალანდაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ზურაბ ნიჟარაძის, თენგიზ მირზაშვილის, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის, გურამ (ხიტა) ქუთათელაძის, დიმიტრი ერისთავის, რევაზ თარხან-მოურავის, ლევან ცუცქირიძისა და ავთო ვარაზის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებებია. ამ პერიოდის ქართული ხელოვნების განხილვა ასევე წარმოუდგენელია დიმიტრი ხახუტაშვილის, გოგი თოთიბაძის, კოკი მახარაძის, გივი მაისურაძის, ელგუჯა ბერძენიშვილის, ნოდარ მალაზონიას, თენგიზ სამსონაძის, გივი თოიძის, დინარა ნოდიას, ბელა ბერძენიშვილის, თეიმურაზ ყუბანეიშვილის, ჯემალ ლოლუას, ჟანგო მეძმარიაშვილის, ალბერტ დილბარიანის, ლევ ბოიახჩევის, ზურაბ ლეჟავას, ოთარ სულავას, ბეჟან შველიძის, რადიშ თორდიას, მოქანდაკეების – გოგი და ირაკლი ოჩიაურების, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, მერაბ მერაბიშვილის, გურამ ქაჯაიას, ჯუნა მიქატაძისა და ამ თაობის სხვა მხატვრების გარეშე, რომლებიც ქართულ ხელოვნებას, არსებული კომუნისტური იდეოლოგიის ფარგლებში, სრულიად ახალი მიმართულებით ავითარებენ. მათი შემოქმედება არსებული სტერეოტიპების უარყოფით, ახლებური აზროვნებით, სახვითი საშუალებებისა და სტილისტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათი ნამუშევრების მყარი საფუძველი ტრადიციული მხატვრული ფორმებია, თუმცა ევროპულ ხელოვნებაში (იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ავანგარდული ხელოვნება) მიმდინარე პროცესებით და სიახლეებითაა შთაგონებული. XX საუკუნის 50-იანელთა შემოქმედებაში ამ ახლებური მხატვრული ფორმების საინტერესო, ინდივიდუალური გააზრება წარმოჩნდება.

ლევან ცუცქირიძე. შეხვედრა. ილუსტრაცია მოთხრობისათვის „ხევისბერი გოჩა“. 1972 წ. შერეული ტექნიკა. 58X627

ავთო ვარაზი. მოლოდინი. 1972 წ. 86X652

ქართული მხატვრობა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, ძალზე საინტერესოდ ვითარდება. XX საუკუნის 50-იანელთა შემდგომ მოღვაწე მხატვართა შემოქმედება ინდივიდუალური ხელწერით, სტილური მრავალფეროვნებითა და საინტერესო მხატვრული მიგნებებით გამოირჩევა. ქართულ მხატვრობაში მიმდინარე პროცესების მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში განხილვა საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს, რაც შემდგომი კვლევისა და განხილვის საგანია.

სიტყვის კონა

ავანგარდი – ტერმინი აღნიშნავს იმ ნამუშევრებს ან შემოქმედებს, რომლებიც ინოვაციური ან ექსპერიმენტული მეთოდებითა და გამომსახველობითი ფორმებით გამოირჩეოდნენ და საკუთარ დროს უსწრებდნენ.

ალეგორია – მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა აზრისა თუ იდეის არაპირ-დაპირად, იგავურად, სიმბოლოების საშუალებით გამოხატვა; ასევე ზეციური სხეულების ან არსებების განსახიერება კონკრეტულ სახეებში.

ანტიოქია – ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი ახლო აღმოსავლეთში, დღეს თურქეთის ტერიტორია – ანთაქია.

განედლებული ჯვარი – ჯვრის ერთი სახეობა, რომელსაც მცენარის ყლორტები აქვს შესხმული, რაც სიმბოლურად გოლგოთის ჯვარს განასახიერებს, იესო ქრისტეს წამების შემდეგ რომ აყვავდა.

გრადაცია – თანამიმდევრული, თანდათანობითი გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეში; მხატვრობაში ერთი ფერის თანდათანობით გაღიავება ან გამუქება, რასაც ფერადოვანი გრადაცია ეწოდება.

გულანი – ლიტურგიკულ კრებულთა ნაკრები, რომელიც ყველა სახის მღვდელმსახურების დროს გამოიყენება. მსგავსი კრებულები მეთექვსმეტე საუკუნემდე არ არსებობდა.

დაზგური მხატვრობა – დაზგური ეწოდება სურათებს, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. მხატვარი მუშაობს ტილოზე, რომელიც გადაჭიმულია ჩარჩოზე, ან მუყაოზე, ფურცელზე და სხვა მასალაზე საღებავებით, ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა. შ. სურათისათვის შერჩეული მასალა დამაგრებულია მოლბერტზე, რომელ-საც შეიძლება მხატვრის დაზგა ვუწოდოთ. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც – „დაზგური ფერწერა“.

დეისუსი – ხატი, რომელზეც ცენტრში ქრისტე პანტოკრატორის (ყოვლისმპყრობელი – ზის ტახტზე მაკურთხებელი მარჯვენით და წიგნით მარცხენა ხელში) გამოსახულებაა, მარჯვნივ – იოანე ნათლისმცემელი, ხოლო მარცხნივ კი – ღვთისმშობელი ვედრების პოზაში.

დიონისე – მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

ეგვტერი – ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო.

ელეუსა – (მოწყალე, მოალერსე) ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულების ერთ-ერთი ტიპია. ღვთისმშობელს მუხლებზე უზის ყრმა იესო ქრისტე, რომელიც ლოყით ეალერსება დედას.

ელინიზმი – ეპოქა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდს – ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებიდან (ძვ. წ. 323 წ.) რომაელების მიერ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის უკანასკნელი დიდი სახელმწიფოს პტოლემეების ეგვიპტის დაპყრობამდე (ძვ. წ. 30 წ.) – მოიცავს. ელინიზმის ეპოქის ძირითადი თავისებურებაა ბერძნული ენისა და კულტურის გავრცელება ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, ასევე, ბერძნული და აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული კულტურების თავისებურებათა შერწყმა.

ენკაუსტიკა – ცვილოვანი საღებავით გამოსახულების შექმნის მხატვრული ტექნიკა.

ექსპრესიონიზმი – მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომლის წარმომადგენლები ცდილობენ, გამოსახონ ემოციათა სუბიექტური სამყარო და არა არსებული რეალობა. ემოციური ეფექტი მიიღწევა ფორმათა უტრირებით. ექსპრესიონიზმი განვითარდა XX საუკუნის დასაწყისის გერმანულ ხელოვნებაში.

იერატიკული პოზა – პერსონაჟის განზოგადებული ხასიათის გამოსახულება პირობით, არაბუნებრივ, მკაცრ და ფრონტალურ პოზაში, ყოველგვარი კონკრეტული განწყობილების გარეშე.

იკონოგრაფია – სახვით ხელოვნებაში მკაცრად დადგენილი სისტემა პერსონაჟების ან სიუჟეტური სცენების გამოსახვისას (უმეტესად საეკლესიო მხატვრობაში).

იმპრესიონიზმი – მხატვრული მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც საფრანგეთში 1860-იან წლებში ჩაისახა და დიდი გავლენა მოახდინა ავან-გარდულ ხელოვნებაზე ევროპასა და სხვა ქვეყნებში. იმპრესიონისტები დაინტერესებული იყვნენ წამიერი ვიზუა-ლური ეფექტების, განსაკუთრებით, სხვადასხვაგვარი განათების ზემოქმედების შედეგად ფერის ცვალებადობის ასახვით.

კამარა – ნახევარწრიული (ცილინდრული, ხანაც შეისრული) ფორმის ჭერი (გადახურვა).

კონსტრუქტივიზმი – მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც რუსეთში დაახლოებით 1914 წელს წარმოიშვა და საწარმოო მასალების (მაგ., მინისა და ლითონის) დეტალებით აბსტრაქციული კომპოზიციის შექმნას გულისხმობდა.

კონქი – შენობის (ნაგებობის) ნახევარწრიული არქი-ტექტურული ფორმის გადახურვა, რომელსაც მეოთხედი სფეროს ფორმა აქვს.

ლოკალური ფერი – გაუზავებელი, ერთფეროვანი ლაქა, ყოველგვარი გადასვლებისა და გრადაციის გარეშე.

მინიატიურა – შუა საუკენეების ხელნაწერი წიგნის გასაფორმებლად შექმნილი მცირე ზომის სურათები.

მოდერნი – XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ევროპასა და აშშ-ში პოპულარული დეკორატიული სტილი. იგი ხასიათდებოდა ტალღოვანი გამოსახულებებით, რომლებსაც საფუძვლად მცენარეული ფორმები დაედო.

მოდერნიზმი (არ ნუვო) – ზოგადი ტერმინი იმ რწმენებისა და დამოკიდებულებების აღსანიშნავად, რომლებიც, დაახლოებით, 1900 წლიდან საფუძვლად დაედო ხელოვნების რადიკალურ მიმართულებებს.

მონუმენტური მხატვრობა – მხატვრობა არქიტექტურული ნაგებობის კედლებზე.

მუშამბა – წყალგაუმტარი ქსოვილი.

ნარტექსი – ქრისტიანული ტაძრის შესასვლელი ნაწილი, რომელიც მას აკრავს, ჩვეულებრივ, დასავლეთის მხრიდან.

ნიკოპეა – (გამარჯვების მბოძებელი) ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულების ერთ-ერთი ტიპია, ბიზანტიური წარმოშობის. ღვთისმშობლის მკერდთან ყრმა იესო ქრისტეა გამოსახული.

ოდიგიტრია – (გზის მაჩვენებელი) ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულების ერთ-ერთი ტიპია. ღვთისმშობელს მარცხენა ხელზე უზის ყრმა იესო ქრისტე, რომელიც მარჯვენით აკურთხებს და მარცხენა ხელით კი გრაგნილი უჭირავს. ღვთისმშობელი მარჯვენა ხელით მიუთითებს უფალზე.

საზედაო ასო – ხელნაწერ წიგნებში ყოველი აბზაცის პირველი ასო, რომელიც დიდი ზომითა და ხშირად დეკორატიული გაფორმებით გამოირჩევა ტექსტში.

სერაფიმი – ექვსფრთიანი ანგელოზი, რომელიც ორი ზედა ფრთით სახეს, ხოლო ორი ქვედა ფრთით ფეხებს იფარავს, შუა ორი ფრთით დაფრინავს და უფლის ნებას აღასრულებს, თან დაუსრულებლად გალობს „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“

სვინაქსარი – ღვთისმსახურების წიგნი, რომელშიც თავმოყრილია მართლმადიდებელ წმინდანთა, მათ შორის, ქართველ წმინდანთა ცხოვრებისა და წამების ეპიზოდები.

სიმბოლიზმი – მიმდინარეობა სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც ევროპაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში განვითარდა. მისი მიმდევრები უარს ამბობდნენ რეალიზმისა და იმპრესიონიზმის ნატურალისტურ იდეალებზე და უპირა-ტესობას ანიჭებდნენ მისტიკური იდეების ზეგავლენით დანახული სამყაროს სუბიექტურ, პოეტურ განსახიერებას.

სოციალისტური რეალიზმი – საბჭოთა კავშირში (შესაბამისად, სხვა კომუნისტურ ქვეყნებშიც) კომუნისტური პარტიის მიერ ოფიციალურად მხარდაჭერილი მიმართულება ხელოვნებაში. სოციალისტური რეალიზმი განადიდებდა სსრკ-ის კულტურულ და ტექნოლოგიურ მიღწევებს სტერეოტიპული სტილით, რომელიც ემორჩილებოდა სახელმწიფოს რეპრესიულ კონტროლს. მისი თემატიკა მოიცავდა ინდუსტრიულ და ურბანისტულ (ქალაქის) პეიზაჟებს და სცენებს კოლმეურნეობების ყოველდღიური შრომითი ცხოვრებიდან.

ტეტრამორფი (ქერუბიმი) – ოთხი მახარებლის სიმბოლური გამოსახულება, ოთხფრთიანი არსება, ყოველ ფრთასთან თითო მახარებლის – მათეს (ანგელოზი), მარკოზის (ლომი), ლუკასა (ხარის) და იოანეს (არწივი) სიმბოლური გამოსახულებებით. დაკავშირებულია ძველ აღთქმაში ეზეკიელის ხილვასთან, ფრთები და სხეული მთლიანად თვალების გამოსახულებებით აქვს დაფარული და ბორბლებიან ცეცხლოვან ეტლზე დგას. შეიძლება გავაიგივოთ ქერუბიმთან.

ტექტონიკა – შენობის ნაწილების, ურთიერთგანლაგებისა და მისი ფორმების, პროპორციების შეფარდების თავისებურებანი; კედლის მხატვრობაში არქიტექტურულ მონაკვეთებთან გამოსახულებების მისადაგების მხატვრული ხერხი.

ტიმპანი – კარის თავზე ნახევარწრიული არე.

ფოვიზმი – ადრეული XX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობა, რომელსაც ახასიათებდა მკვეთრი ფერების არანატურალისტურად გამოყენება. ეს მიმდინარეობა პარიზში ძალიან სწრაფად და ხანმოკლე პერიოდით (1905 -1907 წწ.) განვითარდა. თავად ტერმინი 1905 წელს წარმოიშვა ფრანგული სიტყვიდან, რომელიც „ველურს“ ნიშნავს. მისი ავტორია კრიტიკოსი ლუი ვოკსელი.

ფრესკა – სველ ბათქაშზე წყლის საღებავებით გამოსახულების შექმნის ტექნიკა. გაშრობის შემდეგ საღებავი იმდენად მყარად ჯდება მობათქაშებულ ზედაპირზე, რომ გამოსახულება, ფაქტობრივად, კედლისა თუ ჭერის ორგანული ნაწილი ხდება. ტერმინი „ფრესკა“ წარმოიშვა იტალიური სიტყვისგან „ახალი“, რადგან ფრესკა ახალმობათქაშებულ ზედაპირზე იქმნებოდა.

ფრონტალური გამოსახულება – გამოსახულება, რომელიც შექმნილია, რათა მაყურებელმა წინა მხრიდან აღიქვას, მაგალითად, ადამიანის გამოსახულება წინიდან, ყოველგვარი ბრუნის გარეშე, მკაცრად ანფასში.

გიგო გაბაშვილი *მოსე თოიძე* *ნიკო ფიროსმანი* *ვ. სიდამონ-ერისთავი* *დიმიტრი შევარდნაძე* *ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი* *კირილე ზდანევიჩი*

შალვა ქიქოძე *დავით კაკაბაძე* *ლადო გუდიაშვილი* *სერგო ქობულაძე* *თამარ აბაკელია* *სოლიკო ვირსალაძე* *ფელიქს ვარლამიშვილი*

უჩა ჯაფარიძე *პეტრე ოცხელი* *აპოლონ ქუთათელაძე* *ირაკლი თოიძე* *ირაკლი გამრეკელი* *დიმიტრი ერისთავი* *ზურაბ ნიჟარაძე* *შურა ბანძელაძე*

თენგიზ მირზაშვილი *ჯიბსონ ხუნდაძე* *ედმონდ კალანდაძე* *გურამ ქუთათელაძე* *რევაზ თარხან-მოურავი* *ლევან ცუცქირიძე* *ავთო ვარაზი*

გამოყენებული მასალები

ფოტომასალა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან; ხელოვნების სასახლის საცავებიდან; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან; სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფონდიდან; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, გიორგი გაგოშიძის, ზაზა სხირტლაძის, მირიან კილაძის, ივანე გოლიაძის, ირინე გივიაშვილის, ვატო ვარაზის, ქეთევან ბოკერიას, ლეონიდ კრეიდლინის, კონსტანტინე იანტბელიძის, ჯაბა სამუშიას კერძო კოლექციებიდან.

ლიტერატურა

გ. აბრამიშვილი. ერთი ეროვნული იკონოგრაფიული პროგრამის ორი რედაქცია. თბილისი. 1995
თ. ვირსალაძე. ატენის სიონის მოხატულობა. ალბომი. თბილისი. 1984
თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. თბილისი. 1980
ზ. სხირტლაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა: თელოვანის ჯვარპატიოსანი. თბილისი. 2008
შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თბილისი. 2012
Arsenishvili I. Georgian Easel Painting (Second half of 18th century to the 1920th). Nova. New-York. 2009
Аладашвили Н., Алибегашвили Г., Вольская А. Живописная Школа Сванети. Тбилиси. 1983
Алибегашвили Г. Светский портрет в Грузинской средневековой монументальной живописи. Тбилиси. 1979
Амиранашвили Ш. История Грузинской Монументальной Живописи. Тбилиси. 1957
Беридзе В., Езерская Н. Искусство советской Грузии 1921-1970. Изд-во: М.: Советский художник, 1975
Вирсаладзе Т. Основные Этапы Развития Грузинской Средневековой Монументальной Живописи. Тбилиси. 1977
Вольская А. Росписи средневековых трапезных Грузии. Тбилиси. 1974
Шевякова Т. Монументальная Живопись Раннего Средневековья Грузии . Тбилиси. 1983
Шмерлинг Р. Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв. Тбилиси. 1978
Чубинашвили Г. Грузинское искусство VIII-IX вв. 1943